

# კანონის უზენაესობის დამკვიდრება

## საქართველოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი

2005 წლის ივნისი  
ამერიკის იურისტთა ასოციაცია

წინამდებარე გამოცემაში მოცემული ანალიზი და წინადადებები წარმოადგენს ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის ნაშრომს, რომელზეც ის სრულად იღებს პასუხისმგებლობას. ამერიკის იურისტთა ასოციაციის მმართველთა საბჭოს არ განუხილავს და არ გაუკეთებია კომენტარი ნაშრომის შინაარსზე. შესაბამისად, აქ წარმოდგენილი წინადადებები არ უნდა იქნას მიჩნეული ამერიკის იურისტთა ასოციაციის ოფიციალურ მოსაზრებად. მეტიც, ანგარიშში კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მოყვანილი არცერთი დებულება არ უნდა იქნას მიჩნეული იურიდიულ რეკომენდაციად, ამდენად, მკითხველმა რჩევისათვის იურისტს უნდა მიმართოს. წინამდებარე პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობის დახმარების საშუალებით, თანამშრომლობის ხელშეკრულება # 111-A-00-00-00067-00 და თანამშრომლობის ხელშეკრულებები ## ENI-A-00-00-0003-00 და ABA6004407. ნაშრომში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და არ უნდა იქნას მიჩნეული აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალურ მოსაზრებად.

ISBN:1 1-59031-614-2  
გამოცემულია აშშ-ში

საავტორო უფლებები © 2005,  
ამერიკის იურისტთა ასოციაციისა და ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის მიერ  
20005, ვაშინგტონი, NW  
ქ.15, ბ. 740  
[www.abaceeli.org](http://www.abaceeli.org)

## შესავალი

განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის შეფასების მიზნით ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივმა ინიციატივამ (ABA/CEELI) შეიმუშავა იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი (LPRI). ინდექსი ეფუძნება 24 ფაქტორს, რომელიც შემუშავებულია იურისტის პროფესიისთვის ჩამოყალიბებული და საერთაშორისოდ (გაერო და ევროპის საბჭო) აღიარებული სტანდარტების საფუძველზე. LPRI ფაქტორების საშუალებით განისაზღვრება ისეთი მნიშვნელოვანი სფეროების მაჩვენებლები როგორცაა, მაგალითად, პროფესიული თავისუფლება და გარანტიები: განათლება, ტრენინგი და პროფესიის ხელმისაწვდომობა; მუშაობის პირობები და ნორმები; იურიდიული მომსახურება და პროფესიული ასოციაციები. ინდექსის ძირითადი დანიშნულებაა ABA/CEELI-ს და სამართლებრივი დახმარების სხვა მიმწოდებელ ორგანიზაციებს, სამართლებრივი დახმარების მიმწოდებელთა დამფინანსებლებსა და განვითარებად დემოკრატიას საშუალება მისცეს თავად განახორციელონ სამართლებრივი რეფორმების შესაბამისი პროგრამები და მეთვალყურეობა გაუწიონ იურისტთა უფრო ეთიკური, ეფექტური და დამოუკიდებელი პროფესიის ჩამოყალიბების პროცესს. ამასთან, LPRI და ABA/CEELI-ს პარტნიორი სასამართლო რეფორმის ინდექსი (JRI) უზრუნველყოფს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა კორუფცია, სასამართლო სისტემის მიერ კონფლიქტების გადაჭრის შესაძლებლობა, უმცირესობათა უფლებები და სამართლებრივი განათლების რეფორმა.

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის შეფასებაში არ ხდება ზეპირი კომენტარი ქვეყანაში იურიდიული პროფესიის ზოგად სტატუსთან დაკავშირებით, როგორც ამას ახორციელებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ადამიანის უფლებების ანგარიშში და თავისუფლების სახლი ანგარიშში „Nations in Transit“. პირიქით, შეფასებაში მოყვანილია ქვეყანაში არსებული კონკრეტული პირობები, საკანონმდებლო დებულებები, მექანიზმები და შეფასებულია, თუ როგორ შეესაბამება ის კონკრეტული რეფორმის კრიტერიუმს შეფასების პრეიოდში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ანალიტიკური პროცესი არ წარმოადგენს სტატისტიკის შესწავლას ან მიმოხილვას. იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი ეფუძნება შესაბამისი სამართლებრივი ნორმების, მიზნობრივ ჯგუფებთან მსჯელობის, ინფორმაციის ძირითად მომწოდებლებთან გასაუბრებებისა და სხვა შესაბამისი მონაცემების შესწავლის შედეგებს. პირველ რიგში, ის წარმოადგენს სამართლებრივ მოკვლევას, რომელიც ჩატარდა მრავალფეროვანი ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ინფორმაცია შეეხება ქვეყნის სამართლებრივ სისტემას დროის კონკრეტულ მონაკვეთში და განხილულია იურისტის პროფესიის კუთხით.

## შეფასების მოცულობა

იურიდიული პროფესიის რეფორმის შეფასებისას გადასაჭრელი იყო ორი საკითხი. პირველი - ტერმინების „იურიდიული პროფესიის“ და „იურისტის“ განსაზღვრა. დასახელება - „იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი“ არასწორია, რადგან ინდექსში ყურადღება გამახვილებულია იურისტებზე. თუმცა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იურიდიული პროფესიები სხვადასხვა კატეგორიების წარმოადგენენ. მაგალითად, ევროპის საბჭოს ჩამონათვალში არის იურიდიული პროფესიის რამდენიმე კატეგორია, რომელიც მოიცავს მოსამართლეებს, პროკურორებს, იურისტებს, ნოტარიუსებს, მოსამართლის თანაშემწეებსა და სასამართლოს აღმასრულებლებს. შეფასების მომზადების პერიოდში ABA/CEELI-ს შეეძლო ყველა ამ და სხვა პროფესიის ჩართვა. თუმცა, ამ შემთხვევაში შეფასება ან ძალიან გართულებული ან, პირიქით, ზედაპირული იქნებოდა.

LPRI-ს პროცესის მართვისა და გლობალურად გამოყენების მიზნით, ABA/CEELI-მ გადაწყვიტა, ყურადღება გამახვილოს სამართლებრივი სისტემის ძირითად შემადგენელ პროფესიებზე; მაგალითად, პროფესიებზე, რომლებიც ზოგადად, წამყვანი და მნიშვნელოვანია დემოკრატიული და საბაზრო ეკონომიკის სისტემების ფუნქციონირებისთვის. შედეგად, CEELI-მ ნოტარიუსის, სასამართლო აღმასრულებლის და მოსამართლეთა თანაშემწეების პროფესიები სხვადასხვა ქვეყნებში მათი როლის ცვალებადობისა და შეზღუდვების გამო გამორიცხა. ამასთან, ABA/CEELI-მ გადაწყვიტა, არ გაითვალისწინოს მოსამართლეები და პროკურორები LPRI-ს შეფასებიდან, რათა ძირითადი აქცენტი გაკეთდეს იმ პროფესიაზე, რომელსაც მოქალაქეები სახელმწიფოს წინაშე საკუთარი ინტერესების დაცვისას იყენებენ. ABA/CEELI-მ შეიმუშავა სასამართლო სისტემის ინდექსი, სადაც ყურადღება გამახვილებულია სასამართლო რეფორმის ასპექტებზე. მომავალში შესაძლებელია, ABA/CEELI-მ შეიმუშაოს პროკურორთა შეფასების ინსტრუმენტიც.

მას შემდეგ, რაც ABA/CEELI-მ განსაზღვრა იურიდიული პროფესიის რომელი კატეგორია შეფასდეს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის მიხედვით, უნდა განისაზღვროს და განიმარტოს ტერმინი „იურისტი“. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რამდენიმე სხვა ქვეყანაში „იურისტები“ შეადგენენ პროფესიონალთა ერთიან კატეგორიას. მიუხედავად ამისა, უმრავლეს ქვეყანაში, სასამართლოში მათი წარმომადგენლობის მიხედვით ხდება იურისტების შემდგომ ქვეკატეგორიებად დაყოფა. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს ადვოკატთა სამი კატეგორია: *avocat*, *avoués a la Cour* და *advocates aux Conseils*. *Avocat*-ი არის იურისტი, რომელსაც გააჩნია ყველა სასამართლოში გამოსვლის უფლება, აგრეთვე, იურიდიული კონსულტაციების გაწევა და კლიენტთა უფლებების სასამართლოში დაცვა. მას პირდაპირ მითითებებს აძლევენ კლიენტები, და ის კლიენტების სახელით გამოდის სასამართლოში. *Avoués a la Cour*-ს გააჩნია სააპელაციო სასამართლოში სარჩელის შეტანის მონოპოლიური უფლება, გარდა სისხლის სამართლისა და შრომითი ურთიერთობების კანონების ქვემდებარე საქმეებისა; ასეთ საქმეებზე მუშაობა მიმდინარეობს *avocet*-თან ერთად. როგორც წესი, *avoués a la Cour* -ს შეაქვს სარჩელი, თუმცა ის არასოდეს წარმოადგენს კლიენტს

სასამართლოში. მას არ გააჩნია ნებისმიერი სახის სასამართლოში კლიენტის ინტერესების დაცვის უფლება. *Advocates aux Conseils* წარმოადგენენ კლიენტების ინტერესებს საკასაციო სასამართლოსა და *Council d'Etat* -ში (საფრანგეთის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში). (*ტაირელი და იაკუბი; „ახალი ევროპის იურიდიული პროფესიები“; 1996*). სასამართლოში გამოსვლის უფლების გარდა, იურისტის ტერმინის განმარტება უფრო რთული სხვა ფაქტორების გამო გახდა; სახელმწიფო და კორპორაციული მრჩეველი არ მიიჩნევიან თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებად. ზოგ ქვეყანაში კი დაშვებულია, კლიენტების ინტერესები იურიდიული განათლების არმქონე პირებმა წარმოადგინონ.

ამ საკითხებმა წარმოშვა დილემა, ამიტომ, ABA/CEELI-მ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ ადვოკატებზე (რომლებიც ზოგადად მიიჩნევიან პირებად, რომელთაც გააჩნიათ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოში გამოსვლის უფლება); ამ შემთხვევაში შესაძლებელია გლობალური იურიდიული პროფესიის სეგმენტის მეტ-ნაკლებად სწორი შეფასების გაკეთება; თუმცა დამოუკიდებელ იურისტთა დიდი ნაწილი არ შედის შეფასების ფარგლებში, რაც მკითხველს მცირე წარმოდგენას მისცემს იურიდიული პროფესიის რეფორმაზე. მაგალითად, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების საბჭოსა და იურიდიული საზოგადოებების (CCBE) თანახმად, 2002 წელს, პოლონეთში მოქმედებდა 22 048 იურისტი. მათ შორის მხოლოდ 5 315, ანუ 24 %, ადვოკატები იყვნენ. ამავე დროს, თუ შეფასებაში განხილული იქნება ყველა ის ადამიანი, რომელსაც გააჩნია საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ნებართვა, სურათი არ იქნება სწორი და სრულყოფილი, რადგან ჩართული იქნებიან იურისტები და არა-იურისტები, რომლებიც არ არიან დაკავებულნი იურიდიული პრაქტიკით. იმისათვის, რომ შეფასება ყოვლისმომცველი, და ამავე დროს, მარტივი იყოს, ABA/CEELI-მ გადაწყვიტა ინდექსში ადვოკატებისა და სამოქალაქო საქმეების ადვოკატების ჩართვა, რომელთაც მიღებული აქვთ იურიდიული განათლება აღიარებულ სასწავლებლებში და პრაქტიკოსი და დამოუკიდებელი იურისტები არიან, გარდა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების იურისტებისა. ამასთან, ვინაიდან ზოგი ფაქტორი მხოლოდ ადვოკატებს შეეხება, ABA/CEELI-მ გადაწყვიტა გააფართოოს ფარგლები და მოიცვას იურისტები საკითხების მიხედვით.

## **ABA/CEELI-ს მეთოდოლოგია**

მეორე ძირითადი პრობლემა, რომელსაც წავაწყდით იურისტის პროფესიის შეფასებისას, უკავშირდება არსსა და მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ ABA/CEELI-მ შეძლო მასალების მოპოვება სასამართლო რეფორმის ინდექსიდან (სტრუქტურა და პროცესი), სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით ძალიან მწირი მასალა მოიპოვება. მცირე კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს მხოლოდ სასამართლოს სისტემაზე კონცენტრირების ტენდენცია, ხოლო სამართლებრივი სისტემის სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორცაა იურისტები და პროკურორები, უყურადღებოდაა დატოვებული. დემოკრატიის საკითხებზე მომუშავე მეცნიერის, თომას კაროტერსის თქმით, „კანონის უზენაესობის დამკვიდრებაზე მომუშავენი ცდილობენ ის თანმიმდევრულ პროცესად აქციონ, სადაც ძირითადი აქცენტი სასამართლოებზე კეთდება“. (*კაროტერსი, „კანონის უზენაესობის დამკვიდრება საზღვარგარეთ: პრობლემის გააზრება, CEIP წესი“; #34,*

2003 წლის იანვარი). მეტიც, რაც შეეხება სასამართლო რეფორმის ინდექსს, ABA/CEELI-მ დაასკვნა, რომ იურიდიული პროფესიის შეფასებასთან დაკავშირებული მრავალი ფაქტორის განსაზღვრა რთულია და „სუბიექტურ და არაობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობა... კრიტიკას გამოიწვევს“. (ABA/CEELI, *სასამართლო რეფორმის ინდექსი: სასამართლო რეფორმის ინდექსის შემფასებელთა სახელმძღვანელო* (2001).

ABA/CEELI-მ მოახდინა კვლევისა და გამოკითხვების ნაკლებობის კომპენსირება ფუნდამენტური საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების ხარჯზე; ასეთი სტანდარტებია - გაეროს იურისტთა როლის ძირითადი პრინციპები და ევროპის საბჭოს რეკომენდაციები იურისტის პროფესიის თავისუფლების დაცვის შესახებ და ABA/CEELI-ს 10-წლიანი გამოცდილება იურისტის პროფესიის რეფორმის ინდექსის კრიტერიუმების შემუშავებაში. ზემოხსენებულ წყაროებზე დაყრდნობით, ABA/CEELI-მ შეადგინა 24 ფაქტორი, რომელიც მიუთითებს ეთიკური, ეფექტური და დამოუკიდებელი იურიდიული პროფესიის განვითარებაზე.

ამ ფაქტორების შეფასებაში დახმარების გასაწევად, ABA/CEELI-მ შეიმუშავა სახელმძღვანელო, სადაც განმარტებულია ხსენებული ფაქტორები და საერთაშორისო სტანდარტები, რაც აზუსტებს ტერმინოლოგიას და უზრუნველყოფს გამოკვლევის სფეროთა მართვას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია საერთო სასამართლოებისთვის პრიორიტეტის გაკეთების თავიდან აცილებაზე, რაც დაკავშირებულია იურისტის პროფესიის სტრუქტურასა და ფუნქციასთან. ამდენად აღნიშნულ შეფასებაში, კონკრეტული ფაქტორებია შეტანილი, რომლებიც ამერიკელი და ევროპელი იურისტებისთვის, შესაძლოა, უცნობი იყოს და უნდა მივიჩნიოთ, რომ განზრახული იყო იურიდიული პროფესიის საუკეთესო ტრადიციების შეთავაზება. ძირითადი კატეგორიები შეეხება პროფესიული თავისუფლების და გარანტიების, განათლების, სწავლება-გადამზადებისა და პროფესიის ხელმისაწვდომობის, იურიდიული პრაქტიკის პირობებისა და სტანდარტების, იურიდიული მომსახურებისა და პროფესიული ასოციაციების საკითხებს.

იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსზე მუშაობისას, ABA/CEELI ეყრდნობოდა სასამართლო რეფორმის ინდექსზე მიღებულ გამოცდილებასა და გაეროს CEDAW<sup>1</sup> შეფასების ხელსაწყოს. მაგალითად, LPRI-ში გამოყენებულია ფაქტორთა შეჯამების მექანიზმი და, ამდენად, შესაძლებელი გახდა რთული და საკამათო საკითხების განხილვის თავიდან აცილება, რასაც ადგილი ჰქონდა სასამართლოების რეფორმის ინდექსის მომზადების დროს.

JRI (სასამართლოების რეფორმის ინდექსი) და ახლა LPRI (იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი) ხარისხობრივ შეფასებას ფაქტორების სპეციფიკის გათვალისწინებით იყენებენ; მიუხედავად ამისა, შეფასების ორივე ხერხი გამოიყენება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმის მიღწევათა შესაფასებლად, ვინაიდან

<sup>1</sup> CEDAW - გაეროს კონვენცია ქალთა ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. CEELI-მ შეიმუშავა CEDAW- ს ინსტრუმენტი 2001-2002 წლებში.

მთლიანად შეფასების მცდელობა უკუშედეგს გამოიწვევს.<sup>2</sup> იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის თითოეული ფაქტორი თუ განაცხადი, შეფასებული სამი ძირითადი კრიტერიუმის საშაულებით: დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი. ასეთი შეფასებები ასახავენ ფაქტორისა და სახელმწიფო მარეგულირებელი პრაქტიკას შორის ურთიერთობას. იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტორი შეესაბამება მოცემული ქვეყნის რეალობას, ქვეყანას ეძლევა „დადებითი“ შეფასება. თუ ფაქტორი არ შეესაბამება ამ ქვეყნის მდგომარეობას, მას უარყოფითი შეფასება ეძლევა. თუ ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობა ასე თუ ისე შეესაბამება დასახულ ფაქტორს - შეფასება ნეიტრალურია.

24 ცალკეული ფაქტორის შეფასებების შეკრება და სისტემატიზაცია განხორციელდა. სამართლებრივი რეფორმის ინდექსის მსგავსად, ასახულია შეფასებული ურთიერთობა და მოკლე რეზიუმე, რომელშიც თითოეული ფაქტორის მიხედვით განმარტებულია დასკვნაში მოყვანილი განაცხადი. მონაცემების ასეთი ფორმატით განთავსება ხელს უწყობს მონაცემთა ბაზაში მათ შეტანას და მომხმარებელს, ქვეყნების მიხედვით მონაცემების შედარების საშუალებას აძლევს, ვინაიდან ხდება იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის განახლება. სამართლებრივი რეფორმის ინდექსის ფორმატის გამოყენების ორი ძირითადი მიზეზი არსებობს: შეფასება და ფორმატი. პირველია - სიმარტივე, როცა გამოცდილი მეთოდოლოგიის გამოყენებით მოხერხდა ამ სამუშაოს დროულად ჩატარება. მეორე მიზეზი ერთიანი ფორმატია, სადაც ერთიანი ფორმატების შემუშავება ABA/CEELI-ს LPRI-სა და JRI-ში მოყვანილი მონაცემების შედარების საშუალებას მისცემს, საბოლოო ჯამში კი სამართლებრივი რეფორმის სრულ სურათს მივიღებთ.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ შეფასებაში შემოტანილია სიახლეებიც: ურთიერთკავშირის კომიტეტის შექმნა და არაფორმალური ფოკუს ჯგუფების გამოყენება. ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ABA/CEELI შექმნა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ შემფასებელი და ABA/CEELI-ს თანამშრომლები. კონცეფცია გულისხმობს, გააღრმავოს შემფასებლის გამოცდილება და მიაწოდოს სხვა სახის ინფორმაცია შეფასების სათანადო მექანიზმის ჩამოყალიბებისთვის. არაფორმალური მიზნობრივი ჯგუფების შემადგენლობაში შედიოდნენ არამარტო ადვოკატები, არამედ მოსამართლეები, პროკურატურის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა ოფიციალური პირები. აღნიშნული ჯგუფების გამოყენება საკითხთა წრის გასაზღვრასა და შეფასების სიზუსტის უზრუნველყოფას გულისხმობდა.

სოციალური მეცნიერების მკვლევარები, შესაძლოა, დაობდნენ იმის თაობაზე, რომ ზოგი კრიტერიუმის დაზუსტება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ან ადვოკატებთან და სასამართლოს თანამშრომლებთან ინტენსიური გასაუბრების

---

<sup>2</sup> საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით, იხ. ლარკინი „სასამართლოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიზაცია: თეორიული და კონცეპტუალური ანალიზი“, ამერიკის შედარებითი სამართლის ჟურნალი, 605, 611 (1996)

საშუალებით უფრო გამართლებული იქნებოდა. მაღალი ღირებულებისა და დროის სიმცირის გამო, ABA/CEELI-მ გადაწყვიტა ისეთი კითხვების შერჩევა, რომ ადვოკატთათვის, მოსამართლეთათვის, ჟურნალისტთათვის და სისტემის მცოდნე გარეშე დამკვირვებელთათვის კითხვების შეზღუდული რაოდენობის მიუხედავად მომხდარიყო მათზე ამომწურავი პასუხის გაცემა. საბოლოო ჯამში, LPRI გულისხმობს სწრაფ განხორციელებას ერთი ან მეტი იურისტის მიერ, რომლებიც ზოგადად იცნობენ ქვეყანასა და რეგიონს. ვინც ჩაატარებდა აუცილებელ გასაუბრებებს მოიპოვებდა ობიექტურ ინფორმაციას, და ამის შედეგად შეფასდეს თითოეული ფაქტორი.

LPRI რამდენიმე ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა. პირველი - ABA/CEELI და სხვა დონორი ორგანიზაციები შეძლებენ შეფასების შედეგების გამოყენებას უფრო ეფექტური პროგრამების მომზადების დროს; პროგრამები გამიზნული იქნებიან დამოუკიდებელი სამართლებრივი წარმომადგენლობის გაძლიერებაზე. მეორე - LPRI მიაწოდებს დონორ ორგანიზაციებს, პოლიტიკის შემქმნელებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ინფორმაციას იურიდიული პროფესიის სტრუქტურის, ბუნების და სტატუსის შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც ჩატარდა მსგავსი შეფასება. მესამე - CEELI-ს მიერ ჩატარებული სასამართლო რეფორმის ინდექსთან ერთად, LPRI ხელს შეუწყობს კანონის უზენაესობის უკეთ გააზრებასა და დამკვიდრებას. მეოთხე - LPRI შედეგები გამოდგება ისეთი ადგილობრივი ადვოკატების ინიციატივებისთვის, როგორცაა საზოგადოების საგანმანათლებლო კამპანიები ადვოკატთა როლის შესახებ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ადამიანის უფლებების საკითხი, კანონ-პროექტების შემუშავება და მასების ადვოკატების ძალისხმევა სახელმწიფოს მიერ იურიდიული პროფესიისთვის საერთაშორისო სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად.

## **მადლობა**

ABA/CEELI-ს სურს მადლობა გადაუხადოს იმ გუნდს, რომელმაც შეიმუშავა LPRI-ის კონცეფცია და სტრუქტურა, სამხარეო დირექტორის მოადგილეს კლოდ ზულოს, ABA/CEELI-ს კანონის უზენაესობის კვლევის ოფისის თანადირექტორს ენდრიუ სოლომონს, დირექტორის მოადგილესა და დსთ-ს ქვეყანათა რეგიონის დირექტორს მაიკლ მაიას, ABA/CEELI-ს სტაჟიორს ქრისტინა ტურტურიკას, აგრეთვე, ABA/CEELI-ს პროგრამის ასისტენტს გევინ უაისს.

სხვადასხვა ექსპერტებმა ერთწლიანი სამუშაო პროცესის განმავლობაში, წვლილი შეიტანეს და დახმარება გაწიეს. ABA/CEELI-ს სურს მადლობა გადაუხადოს აღმასრულებელ ხელმძღვანელს დევიდ ტოლბერტს (ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი); ქალბატონ მერი გრიერს - სისხლის სამართლის პროგრამის და იურიდიული რეფორმის სფეროს კოორდინატორს; ბატონ სკოტ კარლსონს - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სამხარეო დირექტორს და სასამართლო რეფორმის მიზნობრივი სფეროს კოორდინატორს, LPRI-ს საწყისი ფაქტორებისა და სტრუქტურის განხილვისთვის; ამასთან, ABA/CEELI-ს სურს მადლიერების გრძნობით მოიხსენიოს LPRI-ზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი,

რომელმაც დახმარება გაგვიწია დოკუმენტის ფაქტორთა და სტრუქტურის გადამოწმებაში. ესენი არიან: კეტლინ კლარკი, კეტრინ ჰენდლი, სტეფან ლეიენბერგერი, უილიამ მეიერი, ავრომ შერი, კრისტინა სტორმი, როი სტუკი, რუპერტ ვულფი, და, განსაკუთრებული მადლობა მარკ დიტრიხს, რომელმაც მოგვიანებით LPRI-ს საცდელი ეტაპი განახორციელა. დაბოლოს, ABA/CEELI-ს სურს მადლობა გადაუხადოს ადგილობრივ იურისტებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს განხორციელების პროცესში. ესენი არიან: მარინ ჩიკუ (მოლდოვეთი), ტატიანა ჩერნობილი (ყაზახეთი), გულარა გულიევი (აზერბაიჯანი), ეტიმ ჯემარი (კოსოვო), აზამათ კერიმბაევი (ყირგიზეთი) და ედუარდ მკრტჩანი (სომხეთი).

საქართველოს იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსზე მუშაობა 2005 წლის 15 მარტიდან ამავე წლის 23 ივნისამდე გრძელდებოდა. სამუშაო ABA/CEELI-ს კანონის უზენაესობის პროგრამის წარმომადგენელმა ბეტინა ბრაუნშტაინმა, ამავე ორგანიზაციის იურისტების მარიკა ბანძელაძის, ვალერი ამისულაშვილის, ტატიანა პატარაიასა და სტაჟიორ ზურა ჯანჯღავას დახმარებით ჩაატარა. სამუშაო ჯგუფს დახმარება აღმოუჩინა ABA/CEELI-ის თბილისისა და ვაშინგტონის ოფისების ყველა თანამშრომელმა, სამხარეო დირექტორის მერილინ ზელინისა და მისი მოადგილის კლოდ ზულოს ჩათვლით. ABA/CEELI-ის იურისტ-ანალიტიკოსი და იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსის პროექტის კოორდინატორმა დოქტორ კარსონ კლემენცმა ჩაატარა კვლევა, უზრუნველყო ანალიტიკური დახმარება, საკანონმდებლო მოთხოვნები და დოკუმენტს რედაქტირება გაუკეთა. ABA/CEELI მადლიერებას გამოხატავს მრავალი ადვოკატის, მოსამართლის, სამართლის პროფესორის, მთავრობის წარმომადგენელთა და დონორთა მიმართ, რომლებიც არაერთგზის შეხვდნენ სამუშაო ჯგუფს და დათანხმდნენ გაეცათ კითხვებზე პასუხი. გასაუბრება ჩატარდა 66 მოსამართლესთან, ადვოკატთან, ჟურნალისტთან და არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან, რომელთა შორის უმრავლესობა რეგიონის წარმომადგენელი იყო. გამოკითხულ პირთა სია ABA/CEELI-ის ვაშინგტონის ოფისში ინახება.

## საქართველოს შესახებ

საქართველო წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ქვეყანას, რომელსაც ესაზღვრება რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი. ქართველთა ტომის ისტორია დასაბამს მითიური პრომეთეოსისა და იასონის დროიდან იღებს. პირველი ისტორიული დასახლებები ორი მილიონი წლით თარიღდება. საქართველო დაუპყრიათ რომაელებს, თურქებს, სპარსელებს. აგრეთვე ყოფილა გაერთიანების პერიოდებიც, რაც ძლიერ მეფეთა მმართველობის პერიოდებს ემთხვევა. სომხეთის შემდეგ, საქართველო მეორე ქვეყანაა, რომელმაც ქრისტიანობა მიიღო და სახელმწიფო რელიგიად აღიარა. მე-13 საუკუნეში საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს, ხოლო მე-19 საუკუნეში მოხდა რუსეთის მიერ ქვეყნის ანექსია. საქართველომ რამდენიმე წლით დაიბრუნა დამოუკიდებლობა 1918 წელს, თუმცა, ისევ რუსეთის ზეგავლენის ქვეშ მოექცა საბჭოთა ჯარის მიერ დაპყრობის შედეგად. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, თუმცა სამოქალაქო ომმა ქვეყანაში დიდი სოციალური და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ორი რეგიონი - აფხაზეთი და ოსეთი - რუსეთის დახმარებით გამოეყო საქართველოს. სეპარატისტულ რეჟიმებთან შეიარაღებული კონფლიქტი ქართველთა დამარცხებით დასრულდა, რამაც ლტოლვილთა დიდი ნაკადი შექმნა - 200 000-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა რეგიონები. ისინი ამ დრომდე ეკონომიკურ სიდუხჭირეში ცხოვრობდნენ.

1995 წელს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე, არჩეულ იქნა პრეზიდენტად. მანამდე ის სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ასრულებდა. მან შეცვალა ულტრა-ნაციონალისტი ლიდერი ზვიად გამსახურდია, რომლის ხელისუფლებაც 1992 წელს დაემხო. შევარდნაძე ქვეყანას 2003 წლამდე ედგა სათავეში. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მაშინ 35 წლის იყო, სათავეში ჩაუდგა მშვიდობიან „ვარდების რევოლუციას“, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ იყო მიმართული. რევოლუციამ ქართველებს ოპტიმიზმი, დემოკრატიული რეფორმისა და ეკონომიკური აღმავლობის იმედი ჩაუსახა. მაშინ, როდესაც დემოკრატიის გზაზე ბევრი ნაბიჯი გადაიდგა, ქვეყანაში მაინც არსებობს უმუშევრობის მაღალი დონე, კორუფცია და სიღარიბე.

საქართველოს გააჩნია ერთპალატიანი პარლამენტი. ქვეყანა დაყოფილია რეგიონულ და რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებად. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია უფლებამოსილების საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის დანაწილება. დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველო ძალისხმევას არ იშურებს იურიდიული პროფესიის განვითარებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებისთვის. საქართველომ ახალი კონსტიტუცია 1995 წელს მიიღო, რომლითაც ძირითადი უფლებებია გარანტირებული, მათ შორის სისხლის დამნაშავეთათვის ადვოკატის ეფექტური დახმარების უფლება. იგი უზრუნველყოფს ძალაუფლების დანაწილების პრინციპს და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. 2004 წლის თებერვალში მთავრობის ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით, კონსტიტუციაში შეტანილია რამდენიმე ცვლილება. ამჟამად საქართველოს მთავრობა შედგება

პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან (იხ. კონსტიტუციის მუხლი 78). პრეზიდენტი ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის როლს და კურირებს ძალოვან სამინისტროებს (შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები). პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს დანარჩენ სამინისტროთა მუშაობას. 2005 წელს, კონსტიტუციაში შეტანილია დამატებითი ცვლილებები, რაც ითვალისწინებს პარლამენტის წევრთა 235-დან 150-დე შემცირებას; აქედან 100 უნდა იქნას არჩეული პროპორციული წესით, ხოლო 50 მაჟორიტარული სისტემის მიხედვით. დეპუტატები აირჩევა 4 წლის ვადით (კონსტიტუციის მუხლი 49). პრეზიდენტ სააკაშვილის პარტია პარლამენტში უმრავლესობით არის წარმოდგენილი (დაახლოებით 70%).

საქართველოში მოქმედებს უზენაესი სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლო და პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები. მოსამართლეებს მთავრობა 10 წლის ვადით ნიშნავს. სამართლებრივი სისტემა კონტინენტურ სამართალს ეფუძნება.

2001 წელს, საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი. როგორც ევროპის საბჭოს წევრი, ის ვალდებულია მოიყვანოს ქვეყნის კანონმდებლობა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. აგრეთვე, საქართველო ევროპის ადამიანის უფლებათა შესახებ კონვენციის ხელმომწერია, ამდენად, ქვეყნის შიგნით ყველა შესაძლებელი საშუალებების ამოწურვის შემდეგ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უმაღლესი მექანიზმი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოა.

## **ისტორიული მიმოხილვა**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკვე თითქმის 15 წელი გავიდა, თუმცა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები კვლავაც ებრძვიან საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობასა და პრობლემებს. საბჭოთა პერიოდში, პროკურატურა აკონტროლებდა ისეთი საქმეების შედეგებს, რომელთაც პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ან, როდესაც ერთ მხარეს „სწორი“ კავშირები გააჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კონსტიტუცია შეიცავდა ადვოკატის (დაცვის) შესახებ მოთხოვნას, ისევე როგორ უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებას, რეალობაში ადვოკატის როლი შემოიფარგლებოდა მხოლოდ მისი სასამართლო სხდომაზე დასწრებით, ანუ, ის ფორმალურ მხარეს წარმოადგენდა. კონსტიტუციით უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნების აღიარების მიუხედავად, ბრალდებულის ბრალეულობა ცალსახად ცნობილი იყო, ხოლო ადვოკატი ფორმალურად ესწრებოდა სასამართლო განხილვას და შემსუბუქებელი განაჩენის მიღებას ცდილობდა. პოლიტიკურ საქმეებში, კომუნისტური პარტიის ლიდერები მისაღები გადაწყვეტილების შესახებ აძლევდნენ მოსამართლეებს მითითებას. ასეთი დირექტივების იგნორირება პრაქტიკულად არ ხდებოდა. სამოქალაქო საქმეები ძირითადად ოჯახური საკითხებით და მცირე ქონებრივი დავებით შემოიფარგლებოდა, რადგან ქვეყანაში მსხვილ კომერციულ და სამრეწველო ინტერესებს ძირითადად სახელმწიფო ფლობდა. კერძო იურიდიული პრაქტიკა, ისეთი სახით, როგორც მიღებულია საზღვარგარეთ, ფაქტიურად, არ არსებობდა.

2001 წელს, საქართველომ მიიღო კანონი ადვოკატთა შესახებ, რითაც გარანტირებულია იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობა. აღნიშნული კანონი არეგულირებს საადვოკატო პრაქტიკას, ადგენს პროფესიაში დაშვების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ერთიანი, ადვოკატთა ეროვნული ასოციაციის შექმნას, რომელიც პასუხისმგებელია ადვოკატთა გამოცდების ჩატარებაზე, ადვოკატებისთვის ლიცენზიების გაცემაზე და ადვოკატთა დისციპლინურ დევნაზე. 2003 წელს ჩატარდა ადვოკატთა პირველი გამოცდა. წელს დიდი მუშაობაა ჩატარებული ადვოკატთა ასოციაციის ჩამოყალიბებისთვის.

## იურიდიული პროფესიის აღწერა

იურისტთა კატეგორიას მიეკუთვნებიან შემდეგი:

- პროკურორები, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ გამოძიებას და ახორციელებენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამართლებრივ დევნას.
- გამომძიებლები, რომლებიც იძიებენ დანაშაულს და წარმოადგენენ სამართალდამცავი სტრუქტურების (პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს) თანამშრომლებს;
- მოსამართლეები, რომლებიც დასაქმებული არიან პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკონსტიტუციო სასამართლოებში;
- ადვოკატებს, რომელნიც კერძო პრაქტიკით არიან დაკავებული და სასამართლოში კლიენტებს წარმოადგენენ;
- იურისტებს, რომლებიც ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციებში, კომპანიებსა და სამთავრობო სტრუქტურებში მოღვაწეობენ, და საჭიროებისამებრ წარმოადგენენ კლიენტებს სასამართლოში;
- ნოტარიუსები, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოკუმენტებზე ხელმოწერების სისწორის დადასტურების, ხელშეკრულებების დამოწმების, ქონების საკუთრების სერტიფიკატების, მემკვიდრეობითი დოკუმენტების წარმოება, დოკუმენტების თარგმანების დამოწმებისა და კლიენტათვის დოკუმენტების პროექტების შედგენის უფლება. (კანონი ნოტარიუსების შესახებ, მუხლები 1 და 4);
- პირები, რომლებიც სამოქალაქო დავებში წარმოადგენენ კლიენტების ინტერესებს სასამართლოში, თუმცა არ გააჩნიათ იურიდიული განათლება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 93).

2001 წლის 20 ივნისს მიღებული კანონი „ადვოკატთა შესახებ“ განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობას, რომელიც „მოიცავს ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისთვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, წინასწარი დაკავების, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში“; (კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 2). ადვოკატთა შესახებ კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ადვოკატს უნდა გააჩნდეს იურიდიული განათლება, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, უნდა ჰქონდეს დადებული ადვოკატის ფიცი და გააჩნდეს მუშაობის ერთი წლის

გამოცდილება მაინც. ამავე კანონის, მუხლი 1 მოთხოვნათა შესაბამისად, ადვოკატი ადვოკატთა ასოციაციის წევრი უნდა იყოს.

მიუხედავად იმისა, რომ ამაჟამად კერძო ან იურიდიული პირის სისხლის სამართლის ან/და სამოქალაქო საქმეში წარმოდგენისთვის არ არის აუცილებელი, იყო იურისტი ან ადვოკატი, მდგომარეობა 2006 წლის 1 ივნისიდან შეიცვლება, როდესაც ამოქმედდება „ადვოკატთა შესახებ“ კანონის შესაბამისი მუხლი, რომლის მიხედვითაც, „პირს, რომელსაც გავლილი არა აქვს ადვოკატთა ტესტირება, 2006 წლის 1 ივნისიდან ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება ტესტირების გავლამდე“. (კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 40.4). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნა, რომლითაც ნებადართულია კლიენტების ინტერესების დაცვა არა ადვოკატების მიერ, და აგრეთვე, სხვა კანონების მსგავსი მოთხოვნები, ამოღებული იქნება.

ანგარიშის შესავალ ნაწილში ჩამოთვლილი მიზეზების გამო ანგარიშში ძირითადი აქცენტი ადვოკატებზეა გაკეთებული, თუმცა, ზოგი ფაქტორი, რომელიც უკავშირდება იურიდიულ განათლებასა და საქმიანობისთვის მომზადებას, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა პროფესიების მიმართაც.

## **იურიდიული პროფესიის ორგანიზაციული სტრუქტურა**

მიუხედავად იმისა, რომ კანონი „ადვოკატთა შესახებ“ მიღებულია და ძალაშია 2001 წლიდან, საქართველოს ადვოკატებს 2004 წლის ბოლომდე არ მომზადებულან ადვოკატთა ასოციაციის ჩამოყალიბებისთვის. ეს სამუშაო ABA/CEELI-ს დახმარებითა და მხარდაჭერით დაიწყო. შეფასებაზე მუშაობის პერიოდში არსებობდა უამრავი გაურკვეველობა ადვოკატთა სტატუსისა და მათი საქმიანობის განხორციელების ირგვლივ. ასეთი გაურკვეველობა წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით დავის შედეგს, თუმცა მისი შექმნა გათვალისწინებულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონით. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დამფუძნებელი კრება 2005 წლის 27 თებერვალს ჩატარდა. კრების მიზანი იყო ასოციაციის დაფუძნება და მისი წესდების მიღება; აგრეთვე ხელმძღვანელობის არჩევა და კომიტეტების შექმნა. დამფუძნებელ კრებას 904 უფლებამოსილი პირი დაესწრო. კრება გაგრძელდა 11-12 მარტს. მიუხედავად ამისა, ორივე სესიის დასასრულს, ადვოკატთა შესახებ კანონის ზოგი ბუნდოვანი მოთხოვნის გამო, ადვოკატთა ასოციაციის შექმნის საკითხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშაა. ასეთი იყო მდგომარეობა მოცემულ ანგარიშზე მუშაობისას.

დამფუძნებელი კრების შემდეგ ბევრი იურისტის მხრიდან არსებობდა წინააღმდეგობა ასოციაციის შექმნასთან დაკავშირებით - მსგავსი მდგომარეობა თებერვალსა და მარტში ჩატარებული სხდომების შემდეგ შეიქმნა. დაიწყო ორი სასამართლო პროცესი: ერთი საერთო სასამართლოში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნის კანონიერების საკითხზე (რაც დაკავშირებულია დამფუძნებელი კრების დროს გამოვლენილი პროცედურულ ნაკლოვანებებთან); ხოლო მეორე საკონსტიტუციო სასამართლოში „ადვოკატთა შესახებ“ კანონის ერთიანი ადვოკატთა ასოციაციის შექმნის შესახებ მოთხოვნის კანონიერებასთან

დაკავშირებით. თუმცა, 2005 წლის 30 ივნისს, ადვოკატთა ორივე მხარემ მიაღწია შეთანხმებას, რაც ადვოკატთა ასოციაციას არსებობის საშუალებას მისცემს. საბოლოო შეთანხმების მიღწევის შემდეგ, საერთო სასამართლოში დაწყებული სასამართლო პროცესი შეწყდება და დაინიშნება ახალი დამფუძნებელი კრება წესდების მიღებისა და ასოციაციის ხელმძღვანელობის ლეგიტიმურად ასარჩევად.

მოქმედი ადვოკატთა ასოციაციის არარსებობის გამო არ ხდება ადვოკატთა შესახებ კანონის ზოგი მოთხოვნის განხორციელება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2004 წლის შემდეგ არ ჩატარებულა ადვოკატთა გამოცდა. ამასთან, არ არის მიღებული ეთიკის კოდექსი და არ მომხდარა არცერთი ადვოკატისთვის ლიცენზიის გაცემა ახალი სისტემის მიხედვით.

საქართველოში არსებობს ადვოკატთა კოლეგია, რომელიც ჯერ კიდევ 1922 წელს შეიქმნა და აერთიანებს 500-ზე მეტ ადვოკატს. ამტკიცებენ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე, კოლეგიის წევრთა რიცხვი 1 500-ს შეადგენდა. ამჟამად კოლეგია დამოუკიდებელი და ნებაყოფლობით ორგანიზაციაა; კოლეგიის პრეზიდენტისა და სხვა ხელმძღვანელი პირების თანამდებობები არჩევითია. (ადვოკატთა კოლეგიის წესდება). დაწესებულია საწევროები, რომლის გაანგარიშებაც ადვოკატთა იურიდიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით ხდება. კოლეგია აძლევს თავის წევრებს საოფისე ფართს და აქვეყნებს ბიულეტენს. მისი პრეზიდენტი მხარს უჭერს ახალ ასოციაციას და მოუწოდებს კოლეგიის წევრებს, გაიარონ ადვოკატთა გამოცდები და გაწევრიანდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ყველაზე წარმატებულ და გავლენიან პროფესიულ გაერთიანებას წარმოადგენს. აღნიშნული ასოციაცია დემოკრატიულ ნებაყოფლობით გაერთიანებაა. იგი დაახლოებით 800 წევრს აერთიანებს, რომელთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 40 წელს. (ასოციაციის წესდება, მუხლები 1.6-8). ასოციაცია 1994 წელს შეიქმნა და იზიდავს ჭკვიან, ახალგაზრდა, კომპეტენტურ, არაკორუმპირებულ იურისტებს, რომლებიც იბრძვიან კორუფციის წინააღმდეგ სამთავრობო სტრუქტურებში და აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვისთვის. ის სახელმწიფო ზეგავლენისაგან დამოუკიდებელია. მისი სათაო ოფისი თბილისშია; ფილიალები გახსნილია დასავლეთ საქართველოში - ქუთაისსა და ბათუმში, და 5 რაიონში: რუსთავში, თელავში, დუშეთში, გორსა და ოზურგეთში. ოფისებს გააჩნია ბიბლიოთეკები, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვა იურისტთათვის. ზოგ ოფისში ორგანიზაციის ადვოკატები ატარებენ უფასო იურიდიულ კონსულტაციებს და/ან წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ კლიენტთა ინტერესებს. ასოციაცია ღებულობს დაფინანსებას ABA/CEELI-გან და სხვა ორგანიზაციებიდან სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად.

## შეჯამება

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქვეყნის სამჭოთა მემკვიდრეობისაგან გათავისუფლებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მიღებასა და იურიდიული პროფესიის არსებობას, რაც დამოუკიდებლობას კიდევ უფრო ღირებულს ხდის. მიუხედავად ამისა, იურიდიულ პროფესიაში არსებობს ორი ძირითადი პრობლემა: სიღარიბე და პროკურატურის ზეგავლენა „ხელქვეით“ და დისკრედიტირებულ სასამართლოზე. ეს პრობლემები ჩრდილავს ამ სფეროში არსებულ სხვა პრობლემას. თუმცა, სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებია მოსამართლეთა და ადვოკატთა შორის კორუფცია; გაურკვეველი სიტუაცია ადვოკატთა ასოციაციის ირგვლივ; სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულება; ადვოკატთა მწირი იურიდიული განათლება, ვინაიდან არ მიმდინარეობს მათი საადვოკატო პრაქტიკისთვის სათანადო მომზადება. და ბოლოს, სახელმწიფოს ჩარევა სასამართლო პროცესებში საფრთხეს უქმნის სასამართლოთა დამოუკიდებლობას.

სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა საზოგადოების სასამართლო სისტემისადმი ნდობის დონეს ამცირებს. კანონი ითხოვს გადაწყვეტილებათა აღსრულებას; თუმცა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულია მოსარჩელის სასარგებლოდ და ის ღებულობს კომპენსაციას, საქმეთა უმრავლესობაში, მოსარჩელე ვერ მიიღებს ფინანსურ ანაზღაურებას, თუ მოპასუხე არ აღასრულებს უარყოფით გადაწყვეტილებას. ბუნებრივია, ეს უკარგავს მოქალაქეებს სასამართლოსთვის მიმართვის სურვილს. ნებისმიერ შემთხვევაში, მოქალაქეთა უმრავლესობას არ აქვთ ადვოკატის აყვანის საშუალება, ხოლო კლიენტებს არ გააჩნიათ ფული იმისათვის, რომ ადვოკატებმა შეძლონ მათი სათანადოდ წარმოდგენა. ამდენად, არსებობს იურიდიული წარმომადგენლობის დაუკმაყოფილებელი საჭიროება. მეტიც, უმწიფოთათვის იურიდიული მომსახურება სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეებზე პრაქტიკულად მიუწვდომელია.

არსებობს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ და არბიტრაჟი აღიარებულია ერთერთ ალტერნატივად, თუმცა ის ფართოდ არ გამოიყენება. ადვოკატები ხშირად ურჩევენ კლიენტებს, მიმართონ არბიტრაჟს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს გააჩნია სამოქალაქო საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ძალა. საქართველოში არ არსებობს მედიატორის, სადაც გამოიყენება კერძო მედიატორები, თუმცა მოსამართლეები აცხადებენ, რომ ისინი ხშირად ასრულებენ მედიატორის როლს ფორმალურ მედიატორულ საქმეებში.

ზოგადად, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია ის, თუ როგორ მოქმედებს სასამართლო სისტემა. ეს ხელს აძლევს არაკეთილსინდისიერ ადვოკატებს, რომლებიც კლიენტებით მანიპულირებას ახდენენ, რაც საზოგადოებაში სასამართლო სისტემისადმი უარყოფით აზრს ქმნის. საზოგადოება, ადვოკატი-რესპონდენტების ჩათვლით, დარწმუნებულია, რომ ადვოკატთა დიდი ნაწილი

(დაახლოებით 20%) კორუმპირებულია. როგორც ჩანს, ვითარება არ შეიცვლება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ეთიკის კოდექსის მიღებამდე.

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, მთავრობა ატარებს საგანმანათლებლო სისტემის (სამართლებრივი განთლების სფეროს ჩათვლით) და სხვა სფეროთა რეფორმას. ამ პროცესის ნაწილია უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის უფრო დახვეწილი სისტემის შემოღება; უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ სტუდენტთა ლიმიტის დაწესება; ეროვნული, სტანდარტული გამოცდები. სამართლის ფაკულტეტის პროგრამა დაიხვეწება და მასში შეიძლება პრაქტიკული უნარჩვევების ტრენინგი შევიდეს. ამ ეტაპზე, მთავრობამ შემოიღო სასწავლებელთა აკრედიტაცია და მრავალი იურიდიული კერძო სასწავლებელი დაიხურა სწორედ აკრედიტაციის უქონლობის გამო. ასეთი ზომები გააუმჯობესებს იურისტთა კვალიფიკაციასა და დაცვის ხარისხს.

ადვოკატებს და მოსამართლეებს გააჩნია კორუფციის, სახელმწიფო ჩარევისაგან და ზეწოლისაგან თავისუფალი სასამართლო სისტემის სურვილი. თითქმის ყველა ადვოკატი საუბრობდა მათ პროფესიაში და სასამართლო სისტემაში კორუფციის არსებობის და სასამართლოების პროკურატურისა და მთავრობისადმი სრული მორჩილების შესახებ. ყველა ძალიან შეწუხებულია იმის გამო, რომ სახელმწიფო ჩარევა და კორუფცია კვლავაც არსებობს. თუმცა, ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ყველას ჰქონდა იმედი, რომ ასეთი რამ თუ არ მოისპობოდა, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა მაინც. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბევრმა აღნიშნა, რომ ახლა ვითარება გაცილებით უარესია, ვიდრე პრეზიდენტ შევარდნაძის დროს.

ABA/CEELI განაგრძობს დაკვირვებას და განსაზღვრავს რამდენად პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას მოახდენს ადვოკატთა ასოციაციის შექმნა და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის შესრულება ამ ანგარიშში განხილულ ფაქტორებზე.

## ფაქტორთა ცხრილი

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ურთიერთობანი გვიჩვენებს კონკრეტულ საკითხთა სტატუსს, ABA/CEELI ყურადღებას ამახვილებს მასზე, რომ ამ ფაქტორთა ურთიერთკავშირი უფრო ხელშესახებია, როდესაც მას თან ერთვის ანალიზი. ABA/CEELI-ს მიაჩნია, რომ კონკრეტული ურთიერთობების შედარებითი მნიშვნელობა უნდა გახდეს შემდეგი შესწავლის საგანი. ამასთან დაკავშირებით, ABA/CEELI იშველიებს კომენტარსა და ინფორმაციას, რომელიც მოგვცემს უფრო დახვეწილი შეფასებების გაკეთების საშუალებას. ABA/CEELI-ს მიაჩნია, რომ შეფასების პროცესი უნდა გახდეს რეფორმათა მონიტორინგის და შეფასების საშუალება.

<b>I. პროფესიული თავისუფლება და გარანტიები</b>		
ფაქტორი 1	საადვოკატო პრაქტიკის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა	ნეიტრალური
ფაქტორი 2	პროფესიული იმუნიტეტი	დადებითი
ფაქტორი 3	კლიენტთა ხელმისაწვდომობა	დადებითი
ფაქტორი 4	ადვოკატი-კლიენტი: კონფიდენციალურობა	დადებითი
ფაქტორი 5	თანასწორუფლებიანობა	დადებითი
ფაქტორი 6	სასამართლოში გამოსვლის უფლება	უარყოფითი
<b>ფაქტორი 7</b>		
ფაქტორი 7	აკადემიური მოთხოვნები	ნეიტრალური
ფაქტორი 8	საადვოკატო საქმიანობისთვის მომზადება	უარყოფითი
ფაქტორი 9	საკვალიფიკაციო პროცესი	ნეიტრალური
ფაქტორი 10	სალიცენზიო ორგანო	ნეიტრალური
ფაქტორი 11	პროფესიაში არადისკრიმინაციული დაშვება	ნეიტრალური
<b>ფაქტორი 12</b>		
ფაქტორი 12	დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის ჩამოყალიბება	უარყოფითი
ფაქტორი 13	რესურსები და ანაზღაურება	უარყოფითი
ფაქტორი 14	უწყვეტი იურიდიული განათლება	უარყოფითი
ფაქტორი 15	ეროვნულ და გენდერულ უმცირესობათა წარმომადგენლობა პროფესიაში	დადებითი
ფაქტორი 16	პროფესიული ეთიკა და ქცევა	უარყოფითი
ფაქტორი 17	დისციპლინური დევნა და სანქციები	უარყოფითი
<b>ფაქტორი 18</b>		
ფაქტორი 18	იურიდიული მომსახურების	უარყოფითი

ხელმისაწვდომობა		
<b>ფაქტორი 19</b>	იურიდიული მომსახურება უმწეოთათვის	<i>უარყოფითი</i>
<b>ფაქტორი 20</b>	დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი	<i>დადებითი</i>
<b>ფაქტორი 21</b>	ორგანიზაციული მართვა და დამოუკიდებლობა	<i>ნეიტრალური</i>
<b>ფაქტორი 22</b>	წევრთა მომსახურება	<i>ნეიტრალური</i>
<b>ფაქტორი 23</b>	საჯარო ინტერესი და საზოგადოებრივი ცნობიერების პროგრამები	<i>ნეიტრალური</i>
<b>ფაქტორი 24</b>	როლი სამართლებრივ რეფორმაში	<i>ნეიტრალური</i>

## I. პროფესიული თავისუფლება და გარანტიები

### ფაქტორი 1. საადვოკატო პრაქტიკის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა

*ადვოკატებს საშუალება აქვთ განახორციელონ საქმიანობა ჩარევის, მუქარისა და სანქციების გარეშე, თუ ისინი პროფესიის სტანდარტების შესაბამისად მოქმედებენ.*

დასკვნა	შეფასება: ნეიტრალური
---------	----------------------

ადვოკატთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ზოგადად, მათ აქვთ სამოქალაქო სფეროში საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საშუალება ჩარევის, მუქარის ან სანქციების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთერთი მხარე არის მთავრობის ცნობილი წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, რომ პიდაპირი დაშინებისა ან მუქარის შესახებ განცხადებები იშვიათია, არსებობს განცხადებები არაპირდაპირი ჩარევის შესახებ სასამართლო სისტემაზე პირდაპირი ზეწოლის გამო. სისხლი სამართლის დანაშაულის შემთხვევაში ზეწოლა ხორციელდება პროკურატურის მიერ, ხოლო ზოგ სამოქალაქო საქმეში ასეთი ზეწოლა ხორციელდება მთავრობის მიერ, რითაც უგულებელყოფილია პროფესიის დამოუკიდებლობის სამართლებრივი გარანტიები.

#### ანალიზი/საფუძველი:

იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და „ადვოკატთა შესახებ“ კანონით, კონსტიტუცია მიღებულია 1995 წელს; ის უზრუნველყოფს ხელისუფლების დანაწილებას „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. (კონსტიტუცია, მუხლი 5.4). 2001 წელს მიღებული კანონი „ადვოკატთა შესახებ“, უზრუნველყოფს პროფესიის დამოუკიდებლობას, რაც რამდენიმე მუხლშია ასახული. მაგალითად, მუხლი 1.2 ადგენს, რომ „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის ადამიანი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაერთიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“. ამავე კანონის მუხლი 3.(ა-თ) იძლევა საადვოკატო საქმიანობის პრინციპების ჩამონათვალს. ეს მოიცავს „კანონიერებას, საადვოკატო საქმიანობის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ადვოკატთა თანასწორობას და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობას, საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობას, ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემასა და დაცვას, ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობას, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული

შემთხვევებისა, ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვას და ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას“. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მუხლი 38.1 იმეორებს, რომ „ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია“.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ არ გააჩნიათ პრობლემები საქმიანობაში პირდაპირ ჩარევასა ან მუქარასთან დაკავშირებით, ადვოკატთა უმრავლესობა წუხს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ ეძლევათ კლიენტების ეფექტურად წარმოდგენის საშუალება მოსამართლეთა პროკურატურისადმი პრაქტიკულად, სრული დამორჩილების გამო. მაგალითად, ადვოკატები ამბობენ, რომ ისინი ვერ აღწევენ კლიენტისთვის წინასწარი პატიმრობის თავიდან აცილებას, თუ ასეთი მოთხოვნა წამოყენებულია პროკურატურის მიერ. ამასთან, პროკურორები ცდილობენ ბრალდებულები დაიცვას გამოუცდელმა ადვოკატმა და არა ძლიერმა და გამოცდილმა ადვოკატმა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 78.3 ადგენს, რომ ადამიანს გააჩნია ადვოკატის არჩევის უფლება. თუმცა უმეტესობამ არ იცის ამ უფლების შესახებ ან ეშინიათ წინააღმდეგობა გაუწიონ პროკურატურას. ერთ-ერთმა სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ პროკურორმა ის იმის გამო გაამწარა, რომ ის ცდილობდა კლიენტის სათანადოდ დაცვას. მან თქვა: „მათ ვძულვართ (თავად და პარტნიორი). რატომ არ გვამღევენ ჩვენი სამუშაოს შესრულების საშუალებას? ჩვენ ვცდილობთ კლიენტების დაცვას. მეშინია, რამე არ მოგვიწყონ, მაგალითად, ჩაგვსვან ციხეში“.

ზოგადად, სამოქალაქო საქმეებზე მომუშავე ადვოკატებს არ გააჩნიათ ასეთი პრობლემები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთერთი მხარე მთავრობის წევრი ან მისი მეგობარია. არცერთ ადვოკატს, გარდა ზემოთ აღწერილი შემთხვევებისა, არ გაუკეთებია განცხადება მთავრობის ან პროკურატურის მხრიდან პირადი ან პროფესიული შეურაცხყოფის გამო. არცერთ იურიდიულ ფირმას არ განუცხადებია საქმიანობის შეჩერების შესახებ მთავრობის ზეწოლისა ან ჩარევის გამო.

ბევრი ადვოკატი სამართლის დადგენის ერთერთ დაბრკოლებად სასამართლო სისტემასა და იურიდიულ პროფესიაში არსებულ კორუფციას მიიჩნევს. კორუფციის ფორმები მოიცავს ადვოკატის მიერ მოსამართლისთვის ქრთამის გადახდას, რათა მან სასურველი განაჩენი გამოიტანოს, ან ადვოკატთა შორის საიდუმლო მოლაპარაკებას, რომ საქმე არ დასრულდეს მორიგებით, რადგან ამ შემთხვევაში, ადვოკატის ჰონორარი შემცირდება, ან საქმის შედეგის შესახებ წინასწარ მოლაპარაკება. მაგალითად: ადვოკატი არ ამცნობს კლიენტს, რომ საქმის მოგვარება შესაძლებელია სასამართლოს გარეშე; ან ერთი მხარის ადვოკატი წინასწარ უთანხმდება მეორე მხარის ადვოკატსა და მოსამართლეს საქმის შედეგზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც საქმე სასამართლოში განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად მიჩნეულია, ადვოკატთა კორუმპირებულობა, ვერც ერთმა ვერ მოიყვანა კონკრეტული მაგალითი. საერთოდ, მდგომარეობა შემდეგნაირად შეჯამდა: პრეზიდენტ შევარდნაძის დროს კორუფცია უფრო მაღალი იყო, თუმცა სასამართლო სისტემა ნაკლებ ზეწოლას განიცდიდა მთავრობის მხრიდან, ახლა კი,

კორუფციის დონემ იკლო, თუმცა გაიზარდა მთავრობის მხრიდან ჩარევა და ზეწოლა. (მიუხედავად ამისა, ზოგი რესპონდენტი არ დაეთანხმა ასეთ შეფასებას და განაცხადა, რომ შვედრდნადის დროს კორუფციის დონე უფრო მაღალი იყო, თუმცა ზეწოლა ორივე რეჟიმის დროს ერთნაირია).

პროკურორის მხრიდან მუდმივი ზეწოლისა და ჩარევის მიუხედავად, ადვოკატები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. ასეთი ადვოკატები სარგებლობენ განსაკუთრებული რეპუტაციით და აღფრთოვანებას იწვევენ. თუმცა, არაკორუმპირებული ადვოკატიც ხდება თავდასხმების ობიექტი. საკმაოდ გავრცელებულია წაგებული მხარის მიერ ადვოკატის ქრთამის აღებაში დადანაშაულება. ასეთ შემთხვევებში გასათვალისწინებელია ადვოკატის შესაძლებლობები, საქმის ნიუანსები. ხშირად ადვოკატი აღიქმება პიროვნებად რომელსაც მოსამართლესთან „კარგი ურთიერთობა“ აქვს. კარგი ურთიერთობა კი არ გულისხმობს „ფულს“. ის მეგობრობაზე ან ნათესაურ კავშირზე მიუთითებს.

## **ფაქტორი 2. პროფესიული იმუნიტეტი**

*ადვოკატების კლიენტთან ან კლიენტის საქმესთან გაიგივება არ ხდება, ისინი სარგებლობენ იმუნიტეტით მათ მიერ პროცესის მიმდინარეობისას გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით.*

დასკვნა	შეფასება: დადებითი
კანონი უზრუნველყოფს ადვოკატთა იმუნიტეტს. ცნობილი არ არის ადვოკატთა მიმართ კლიენტის წარმომადგენლობის ან კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებების გამო რეპრესიების შესახებ. ადვოკატებს ზოგჯერ კიცხავენ არაპოპულარული კლიენტების დაცვისთვის ( მაგალითად, მოძალადეების), თუმცა ასევე არ არის ცნობილი სხვა რაიმე უარყოფითი შედეგის შესახებ.	

### **ანალიზი/საფუძველი:**

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ იძლევა ადვოკატთა იმუნიტეტის გარანტიებს წერილობით ან ზეპირად გაკეთებული განცხადებებისთვის. კანონის (მუხლი 38.4) ადგენს, რომ „არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი)“. ასევე, ამავე მუხლი (პუნქტი 4) ადგენს, რომ „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“.

ცნობილი არ არის ადვოკატთა სისხლის სამართლის ან სხვა ფორმის პასუხისმგებლობის დაყენების შემთხვევების შესახებ. გამოკითხული ადვოკატები პრაქტიკულად ანონიმურად აცხადებდნენ, რომ იმუნიტეტი აღიარებულია და მას

პატივს სცემენ. მათ არ გამოუთქვამს პროფესიული საქმიანობის გამო დევნის ან პოლიციის მხრიდან შეურაცხყოფის შიში.

რამდენიმე ადვოკატმა აღნიშნა, რომ საზოგადოების ზოგი წარმომადგენელი აკავშირებს მათ არაპოპულარულ კლიენტებთან, მაგალითად, სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, რომელთა გასამართლება ხდება არასრულწლოვანთა გაუპატიურების გამო, თუმცა მთავრობა და იურისტთა წრე არ აიგივებს მათ კლიენტებთან. სხვები აცხადებენ, რომ საზოგადოებას ესმის, რომ ადვოკატები თავის მოვალეობას ასრულებენ, როდესაც „ცუდ ადამიანს“ იცავენ. მიუხედავად ამისა, ზოგი ადვოკატი აცხადებს, რომ ისინი უარს იტყობდნენ ზოგ დანაშაულში მხილებულ პირთა დაცვაზე.

რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ აჭარაში არჩევნებზე დაკვირვების მცდელობისას მთავრობის წარმომადგენლებმა შეურაცყოფა მიაყენა. ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატი, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესებს წარმოადგენდა, დაკავებული იყო და ღამე იზოლატორში გაატარა.

### **ფაქტორი 3. კლიენტთა ხელმისაწვდომობა**

*ადვოკატების დაიშვებიან კლიენტებთან, ეს განსაკუთრებით ეხება პატიმრებს. მათ ეძლევათ კლიენტებთან მუშაობის საშუალება (დრო, და დაცვის მოსამზადებლად სხვა სათანადო პირობები).*

დასკვნა	შეფასება: დადებითი
კლიენტებთან დაშვება გარანტირებულია კანონით, რომელიც კონფიდენციური კონსულტაციებისთვის სათანადო პირობების შექმნას მოითხოვს. ადვოკატები აცხადებენ, რომ კანონის ეს მოთხოვნები დაცულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში საპატიმროებში გამოყოფილი ოთახები არაადეკვატურია. ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობას პატივს სცემენ და ადვოკატებს ეძლევათ საკმარისი დრო დაცვის სათანადოდ მოსამზადებლად.	

### **ანალიზი/საფუძველი**

კონსტიტუცია აღიარებს ადვოკატის უფლებას და მუხლი 42.3 ადგენს: „დაცვის უფლება გარანტირებულია“. ეჭვმიტანილს დაკავებისთანავე უნდა აცნობონ დაცვის (ადვოკატის) უფლების შესახებ. კონსტიტუცია, მუხლი 18.5 ადგენს, რომ „დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს“. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მუხლი 4.1.გ ადგენს, რომ ადვოკატს აქვს უფლება პირადად შეხვდეს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ყოველგვარი დაბრკოლების ან ჩარევის გარეშე. ამავე კანონით

უზრუნველყოფილია ადვოკატის უფლება, წარმოადგინოს კლიენტები და დაიცვას მისი ინტერესები, უფლებები და თავისუფლებანი ყველა სახის სასამართლოში, საგამოძიებო და მოკვლევის სტადიებზე. (კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი 4.(1.ა).

დაცვის უფლება გარანტირებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11-ე, 72 -ე, 73-ე, 76-ე და 79-ე მუხლებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 11.1 ადგენს, რომ “სასამართლო და თანამდებობის პირი, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესს ახორციელებენ ვალდებული არიან ეჭვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი უზრუნველყონ დაცვის უფლებით, განუმარტონ უფლებები, მისცენ შესაძლებლობა, დაიცვან თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, უზრუნველყონ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა“.

2004 წელს კოდექსში ცვლილებების შეტანამდე, ადვოკატს არ ჰქონდა კლიენტის სახელით მოქმედების უფლება მისი დაკავებისთანავე. შეტანილი ცვლილებით ეჭვმიტანილს ეძლევა უფლება, დაკავებისთანავე მოითხოვოს ადვოკატი.

2004 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილია ცვლილებები დაცვის უფლების სფეროში. თავდაპირველად, 73-ე, 84-ე და 136-ე მუხლებით იზღუდებოდა ადვოკატსა და ეჭვმიტანილის/ბრალდებულის შეხვედრების დრო, რაც მხოლოდ დღეში 1 საათით შემოიფარგლებოდა. ზემოხსენებული ცვლილებით დროში შეზღუდვები გაუქმებულია. თუმცა, ზოგ შემთხვევაში ასეთი შეზღუდვები კვლავ არსებობს. მუხლი 73.1(დ), მაგალითად, ადგენს: „ეჭვმიტანილს უფლება აქვს: ... პირისპირ შეხვდეს დამცველს მარტო, შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად. მოცემული უფლება გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება შეიზღუდოს გონივრული ვადით, რის შესახებაც გამოძიების მწარმოებელმა პირმა უნდა გამოტანოს მოტივირებული დადგენილება“.

ცნობილი არ არის კლიენტთან დაშვების დაბრკოლების არცერთი შემთხვევის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც კლიენტები წინასწარი დაკავების საკნებში იმყოფებოდნენ. ყველამ აღნიშნა, რომ როგორც წესი, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პრინციპი ზოგადად დაცულია. ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრისთვის ხდება შესაბამისი ოთახის გამოყოფა, თუმცა, ზოგ შემთხვევაში ეს ოთახები იმდენად პატარაა, რომ კომფორტზე საუბარი ზედმეტია. სასამართლო პროცესზე სისხლის სამართლის განსასჯელები გისოსებს მიღმა არიან მოთავსებულნი, რაც ადვოკატებს სასამართლო განხილვის დროს კლიენტთან ურთიერთობას და, საბოლოო ჯამში, სათანადო დაცვის განხორციელებას დაბრკოლებას უქმნის.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატები უფრო რთულ პრობლემებსაც აწყდებიან. მაგალითად, ადვოკატები აცხადებენ, რომ განსასჯელები ხშირად პოლიციის სისასტიკის მსხვერპლნი ხდებიან, რასაც იშვიათად უმხელენ ადვოკატს, თუმცა სისასტიკის კვალი აშკარაა. ადვოკატები ამბობენ, რომ ასეთი შეურაცხყოფა მორალურ დათრგუნვასთან და კლიენტთა სამოქალაქო უფლებების

დარღვევასთან ერთად, შესაძლოა, ცრუ აღიარებებს იწვევს. იმის გამო, რომ საზოგადოებამ არ იცის საკუთარი უფლებების შესახებ, დაკავებულთა უმრავლესობის დაშინება და მათზე ზეწოლის განხორციელება ძალიან მარტივია - მითითებებისამებრ მოქმედებენ და თანხმდებიან პროკურატურის ან პოლიციის მიერ „შემოთავაზებული“ ადვოკატის მომსახურებაზე.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ადვოკატები სისხლის სამართლის განსასჯელთა დაცვის დროს აწყდებიან, ეკონომიკური ხასიათისაა. ზოგჯერ განსასჯელებს ათავსებენ ქალაქგარეთ დაწესებულებებში. ამდენად, ადვოკატებს, განსაკუთრებით შორეულ რაიონებში, ფულის უქონლობის გამო, უჭირთ კლიენტებთან მისვლა.

#### **ფაქტორი 4. ადვოკატი-კლიენტი: კონფიდენციალურობა**

*სახელმწიფო აღიარებს და იცავს ადვოკატსა და კლიენტებს შორის ურთიერთობის კონფიდენციალურობას.*

დასკვნა შეფასება: დადებითი  
ადვოკატებს გააჩნიათ კლიენტებთან კონფიდენციური ურთიერთობის უფლება. ზოგადად, ეს უფლება დაცულია.

#### **ანალიზი/საფუძველი:**

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ შეიცავს რამდენიმე მოთხოვნას, რომელიც შეეხება ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობას. შესაძლებელია ამ მოთხოვნების ორ კატეგორიად დაყოფა: 1. კრძლავს მესამე მხარის მიერ ადვოკატი-კლიენტის ურთიერთობაში ჩარევას, და 2. კრძლავს ადვოკატის მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას. რაც შეეხება პირველ კატეგორიას, კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ადგენს, რომ ადვოკატს გააჩნია დაკავებულ ან დაპატიმრებულ კლიენტთან დაბრკოლებისა და ჩარევის გარეშე შეხვედრისა და ურთიერთობის უფლება - მუხლი 4.1.გ. ამავე კანონის 38.3 მუხლის მიხედვით, „არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი)“. რაც შეეხება მეორე კატეგორიას, კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ეხება ადვოკატის ვალდებულებას დაიცვას კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია:

1. ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, ხანგრძლივობის დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

ამავე კანონი მუხლი 38.6-7 ადგენს: რომ: „კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან“. დაბოლოს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 38(7) მუხლის თანახმად, „ადვოკატსა და კლიენტს შორის წარმოებული საუბრის მიყურადება და ჩაწერა დაუშვებელია, ხოლო მათ შორის მიმოწერა ხელშეუხებელი“. კანონი ასევე იხსენიებს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსს და ამბობს, რომ კოდექსი და ეს კანონი დაარეგულირებს კანონის ამ დებულების დარღვევას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცავს ადვოკატი-კლიენტის ურთერთობის კონფიდენციალურობას და სახელმწიფოს ავალდებულებს, პატივი სცეს ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთერთობის კონფიდენციალურობას. „დაუბრკოლებლად შეხვედეს დასაცავ პირს მარტო და რაიმე მეთვალყურეობის გარეშე, აგრეთვე თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადმინისტრაციისა და გამოძიების ორგანოს მხრივ შეხვედრის რაოდენობისა და ხანგრძლივობის შეუზღუდავად“ - მუხლი 84.3.ბ

ძირითადად, ადვოკატები აცხადებენ, რომ ურთერთობის კონფიდენციურობა დაცულია. არ არსებობს ინფორმაცია ადვოკატთა საბუთების ჩხრეკის ან ამოღების შესახებ; არ მოითხოვება ადვოკატის ნამუშევრის შედეგი, მტკიცებულება ან დოკუმენტაცია; არ მომხდარა ადვოკატის დაკითხვა კლიენტის ინტერესების წარმოდგენასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ზოგი ადვოკატი გამოთქვამს ეჭვს, რომ მათი ტელეფონი, შესაძლოა, ისმინება. თუმცა, ვერავინ შეძლო კონკრეტული მაგალითის მოყვანა.

## **ფაქტორი 5. თანასწორუფლებიანობა**

*ადვოკატებისთვის ხელმისაწვდომია კლიენტთა დაცვისათვის აუცილებელი ინფორმაცია, მეორე მხარის ადვოკატისთვის ცნობილი ინფორმაციის ჩათვლით.*

დასკვნა  კლიენტთა სათანადო დაცვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს ადვოკატათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. რესპონდენტებმა გვაცნობეს ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული რამდენიმე ფაქტი; თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროკურორმა აღიარა სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის მიწოდების ვადების შეზღუდვა. ზოგ შემთხვევაში ეს საწინააღმდეგოდ განაწყობს დაცვას და აზიანებს კლიენტის ინტერესებს.	შეფასება: დადებითი
---	--------------------

### **ანალიზი/საფუძველი:**

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ მუხლი 1.4.ბ. ადგენს, რომ „კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს და მიიღოს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები“. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი შეიცავს მსგავს მოთხოვნებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 4 ადგენს: „4.1. ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. 4.2. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა, ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. 4.3. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში, დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას“.

არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ადვოკატებს უფლება აქვთ მიიღონ კლიენტის დასაცავად საჭირო ინფორმაცია. კერძოდ, ადვოკატს უფლება აქვს გაეცნოს და მიიღოს დაცვისთვის საჭირო საპროცესო დოკუმენტების ასლი. ამასთან, გამოძიების დასრულების შემდეგ, მას უფლება აქვს, გაეცნოს საქმის ყველა მასალას და მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტის ასლი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 84.3 (კ-მ): „კ) გაეცნოს ეჭვმიტანილის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებას, ჩვენებას, ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილებას, დაკავების ოქმს და ამოიწეროს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ შეეხება მისი დასაცავი პირის ინტერესებს; ლ) გაეცნოს დადგენილებებსა და ოქმებს დაკავებისა და დაპატიმრების შესახებ, ყველა იმ

საგამოძიებო მოქმედების ოქმს, რომელთა ჩატარებაშიც მონაწილეობდა ის ან მისი დასაცავი პირი, საქმის მასალებს, რომლებიც ადასტურებენ დაკავებისა და დაპატიმრების საჭიროებას, დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტიზის დასკვნას; მ) წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დროს, გაეცნოს საქმის ყველა მასალას, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, მოითხოვოს ნებისმიერი საპროცესო აქტის ასლი“

სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე ადვოკატების ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ისინი ვერ ღებულობენ მასალებს გამოძიების დასრულებამდე. როგორც ჩანს, ეს უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, რადგან ამის გამო ვერ ხერხდება დაცვის სათანადოდ მომზადება. აგრეთვე, ზოგი რესპონდენტი აცხადებს, რომ შედეგად, მათ დაცვის ქვეშ მყოფთ ზიანი მიადგათ (მაგალითად, წინასწარი პატიმრობა, რომლის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა გამოძიების დასრულების შემდეგაც). ინფორმაციის მოპოვების გართულებასთან დაკავშირებით რამდენიმე კურონიც არსებობს, თუმცა ისინი ძირითადად ბიუროკრატიულ არაეფექტურობას ეხებოდა. მართლაც, ბევრმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ისინი ღებულობენ საგამოძიებო მასალებს.

ადვოკატები არ საუბრობენ დოკუმენტების ან სხვა მასალების მოპოვების სირთულეებზე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სავალდებულოა შესაბამისი ინფორმაციის მხარეთათვის გადაცემა. მუხლი 103.1 ამავე კოდექსით, სასამართლომ ხელი უნდა შეუწყოს ინფორმაციის გაცვლას. მუხლი 103.2. თუ ინფორმაცია დაგვიანებითაა მიწოდებული, ადვოკატმა უნდა დაასაბუთოს დაგვიანება და განმარტოს, რომ ინფორმაციის მოპოვება მოხდა სარჩელის შეტანის შემდეგ. თუ განმარტება მიუღებელია, მოსამართლეს შეუძლია არ გაითვალისწინოს ის ან აკრძალოს მისი გამოყენება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 157. ადვოკატები აცხადებენ, რომ სასამართლოები იყენებენ ამ პროცესუალურ ნორმებს. თუმცა, სახსრების უქონლობა ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს. ადვოკატებს (განსაკუთრებით, რეგიონებში) სასამართლო დოკუმენტაციის ასლების გადაღების ფულიც კი არ აქვთ.

## **ფაქტორი 6. სასამართლოში გამოსვლის უფლება**

*ადვოკატებს, რომელთაც გააჩნიათ სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში კლიენტების სახელით გამოსვლის უფლება, როგორც წესი, სარგებლობენ ამ უფლებით და ხსენებულ ორგანოებში მათ თანაბარი უფლებები გააჩნიათ.*

დასკვნა	შეფასება: ნეიტრალური
ადვოკატებს გააჩნიათ სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში კლიენტის სახელით გამოსვლის უფლება, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე. უფლება, როგორც წესი, დაცულია. თუმცა, ადვოკატების და წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები მათ არათანაბარ პირობებში აყენებენ.	

### **ანალიზი/საფუძველი**

კონსტიტუცია სასამართლოში მხარეთა თანაბარი უფლებების გარანტიას იძლევა. მაგალითად, კონსტიტუციის მუხლი 85.3 ადგენს, რომ „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. ამასთან, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მუხლი 4.1.ა უზრუნველყოფს ადვოკატის უფლებას „წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან“. სასამართლოების მიერ თანასწორი მოპყრობა გარანტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსებით.

მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 15.1 ადგენს, რომ „სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. აგრეთვე, ამავე კანონის მუხლი 15.3 ადგენს, რომ მხარეები, თანასწორუფლებიანობის დაცვით, უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ მტკიცებულება, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულების შემოწმებაში, წარადგინონ შუამდგომლობები და პროტესტი, გამოხატონ საკუთარი მოსაზრება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 4.1 ადგენს, რომ „სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი

მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები“. ამავე კანონის მიხედვით, სასამართლო უნდა აწარმოებდეს სამართალს სამოქალაქო საქმეებზე ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაყრდნობით. - სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 5 ადგენს, რომ „მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 4 ადგენს, რომ ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე. აკრძალულია ნებისმიერი შეზღუდვა ან ჩარევა ნებისმიერი მხარის უფლებებში, თავისუფლებებში ან ინტერესებში, ან კანონის დარღვევით ნებისმიერი მხარისთვის უპირატესობის მინიჭება ან მისი დისკრიმინაცია. სხვადასხვა საქმეების გარემოებების იდენტურობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იდენტური უნდა იყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველი. მუხლი 4.1, 2, 3.

რეალურად, ადვოკატის, კლიენტის სახელით, სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოში გამოსვლის უფლება ზოგადად დაცულია, თუმცა არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეები პროკურატურისა და მთავრობის სურვილებს ითვალისწინებენ. არ არსებობს ინფორმაცია მოსამართლეთა მხრიდან ადვოკატებისა და წარმომადგენლების მიმართ არათანაბარი დამოკიდებულების შესახებ.

## II. განათლება, ტრენინგი და პროფესიაში მიღება

### ფაქტორი 7. აკადემიური მოთხოვნები

*ადვოკატებს მიღებული აქვთ ოფიციალური, უმაღლესი იურიდიული განათლება, აკრედიტებულ სასწავლო დაწესებულებებში.*

დასკვნა	შეფასება: ნეიტრალური
„ადვოკატთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, ადვოკატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი იურიდიული განათლება. ამჟამად, არა ადვოკატებს და წარმომადგენლებს, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი განათლება, შეუძლიათ კლიენტების ინტერესების სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში წარმოდგენა. თუმცა, ეს პრაქტიკა 2006 წლის 1 ივნისს დასრულდება.	

### ანალიზი/საფუძველი

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ შეიცავს მოთხოვნებს ადვოკატთა უმაღლესი იურიდიული განათლების შესახებ - მუხლი 10. ამჟამად, არა ადვოკატებს და წარმომადგენლებს შეუძლიათ კლიენტების ინტერესების სამოქალაქო და

ადმინისტრაციულ საქმეებზე სასამართლოში წარმოდგენა. თუმცა, ზოგადად, მათი სასამართლოში გამოსვლა შემოიფარგლება საკუთარი სააგენტოს ან კლიენტის წარმოდგენით. 2006 წლის 1 ივნისის შემდეგ, მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის წევრებს ექნებათ კლიენტების სასამართლოში წარმოდგენის უფლება.

ამჟამად, იურისტის ხარისხის მინიჭება 5 წლის სწავლების შემდეგ ხდება. პირველი კურსის სტუდენტები 16-17 წლისანი არიან. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მაგისტრის ხარისხი ენიჭება. თუმცა, პრესტიჟულ სასწავლებლებშიც კი, მიღებული განათლების ხარისხი საადვოკატო პრაქტიკისადმი მომზადების თვალსაზრისით საკმაოდ დაბალია (იხ. ფაქტორი 8). კორუფცია იურიდიულ ფაკულტეტებზე საკმაოდ გავრცელებულია. მაგალითად, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სტუდენტად გახდომისთვის ხდება ქრთამების გადახდა და ხარისხების ყიდვა. ამდენად, მრავალ იურისტს საექვო წარმოშობის დიპლომები გააჩნია.

ქვეყანაში მხოლოდ ოთხი სახელმწიფო იურიდიული ფაკულტეტი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის უნივერსიტეტში და თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი საუკეთესოდაა მიჩნეული. მრავალრიცხოვანი აკრედიტებული და არაკრედიტებული კერძო სასწავლებლებსაც გააჩნია იურიდიული ფაკულტეტები. ამ სასწავლებელთაგან 64 სასწავლებელი აკრედიტებულია. არ არსებობს ინფორმაცია აკრედიტაციის არმქონე ფაკულტეტების შესახებ, თუმცა, აცხადებენ, რომ ბევრი მათგანი უკვე დაიხურა.

ყველა მსურველისთვის სავალდებულოა მისაღები გამოცდების ჩაბარება. ცნობილია, რომ წარსულში არ არსებობდა ერთიანი გამოცდის სისტემა. უმაღლესი ქულების მქონეთ უფასოდ სწავლების საშუალება ეძლევათ, ხოლო დანარჩენები ფასიან ფაკულტეტებზე ირიცხებიან. არსებობს ინფორმაცია კორუფციული გარიგებების შესახებ, რითაც მრავალი აბიტურიენტი მაღალ ქულებს ყიდულობს და სტუდენტი ხდება. “გადამხდელ” სტუდენტთათვის გამოყოფილი ადგილების გამო მცირდება იმ ადგილების რაოდენობა, რომელთა დაკავება შეუძლიათ მათ, ვისაც არ სურს ქრთამის გადახდა, საბოლოო ჯამში, მიიღება სტუდენტთა მომზადების დაბალი დონე. წლულს, საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის ფარგლებში, მთავრობამ დაადგინა ერთიანი ეროვნული გამოცდა. ასეთი ღონისძიება მიზნად კორუფციის დონის შემცირებას ისახავს.

კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად, „სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან“ - საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35.2. ამასთან დაკავშირებით, 2005 წელს მიღებულია კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. სხვა ღონისძიებებთან ერთად კანონი ითვალისწინებს ყველა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების 3-4-წლიან ბაკალავრიატის, 2-წლიან მაგისტრის და მინიმუმ 3-წლიან დოქტორანტურის პროგრამებად გადაკეთებას ბოლონიის

უმაღლესი განათლების შესახებ დეკლარაციის შესაბამისად<sup>3</sup>. გასარკვევია, უთანაბრდება თუ არა ბაკალავრისა და მაგისტრის წოდება კანონში მითითებული უმაღლესი განათლების სტატუსს. კანონში „ადვოკატთა შესახებ“ უნდა იქნას შეტანილი ცვლილება, რომლითაც განისაზღვრება, რა ხარისხი უნდა გააჩნდეს იურისტს ადვოკატთა გამოცდის ჩასაბარებლად. იგივე უნდა განისაზღვროს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, რაც უკვე განვიხილეთ ფაქტორში 8.

კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ეხება აკრედიტაციის სტანდარტებს. ფაკულტეტის აკრედიტაციის პროცედურა განხილულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის თავში XI „უმაღლესი განათლების სასწავლებელთა ინსტიტუციონალური და პროგრამების აკრედიტაცია“, რომლის მიხედვითაც იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური“, რომელიც დამოუკიდებლად ჩაატარებს<sup>4</sup>. ამავე კანონის თავი XII „რეგულირებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია“ საუბრობს სამომავლო დამატებით სააკრედიტაციო ნორმებზე და პროცედურებზე იურიდიული ფაკულტეტებისთვის, ისე, როგორც განისაზღვრება სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის მიერ და დამტკიცდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

განათლების სამინისტროს თქმით, ყველა დისციპლინისთვის შეიქმნება შეფასების ცალკე ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტება ექსპერტებით, ხოლო პროფესიული სფეროებისთვის (სამართალი და მედიცინა) იარსებებს „დამოუკიდებელი სააგენტო/ჯგუფი“, რომლის შემადგელობაში შევლენ არამართო მეცნიერები, არამედ შესაბამის სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსები. კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ნახსენებია „იურიდიულად დაფუძნებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც შეფასების ჯგუფის ნაწილი იქნება“<sup>5</sup>. კანონის მიხედვით, ეს საქართველოს იურისტთა ასოციაცია უნდა იყოს. ასოციაციის წესდება არ შეიცავს დებულებას, რომლის მიხედვითაც ასოციაციის წევრი მიიღებს მონაწილეობას განათლების რეფორმაში; თუმცა, ის შეიცავს მოთხოვნას, რომლის მიხედვით ასოციაციის ერთერთი მიზანი ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი პროფესიული უნარჩვევების განვითარებაა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება, მუხლი 3.1.ე.

<sup>3</sup> ბოლონიის დეკლარაცია უმაღლესი განათლების შესახებ

<sup>4</sup> მუხლები 63.2 და 3, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ

<sup>5</sup> იხ. მუხლი 77, კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“

## **ფაქტორი 8. საადვოკატო პრაქტიკისთვის მომზადება**

**ადვოკატებს გააჩნიათ ადექვატური ცოდნა, უნარ-ჩვევები და განათლება საადვოკატო პრაქტიკის დასაწყებად სასწავლებლის დასრულებისთანავე.**

დასკვნა

შეფასება: უარყოფითი

იურიდიული ფაკულტეტები აძლევენ იურისტებს თეორიულ ცოდნას, თუმცა არა პრაქტიკულ და ანალიტიკურ უნარ-ჩვევებს საადვოკატო პრაქტიკის დასაწყებად სასწავლებლის დამთავრებისთანავე. „უმაღლესი განათლების შესახებ“ ახალი კანონის მიზანია საუნივერსიტეტო განათლების დონის ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

### **ანალიზი/საფუძველი:**

საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 35.2 ადგენს, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან“. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ასახულია მთავრობის მცდელობა, დაიცვან კონსტიტუციის ეს მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო სისტემა ვითარდება კონსტიტუციის მიხედვით, ის არ ახდენს ზეგავლენას იურისტების არსებულ თაობაზე.

პრაქტიკულად ყველა რესპონდენტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არ არიან მზად საადვოკატო საქმიანობისთვის. იურიდიული ფაკულტეტების ძირითადი აქცენტი თეორიაზეა გაკეთებული. სტუდენტებს თეორია ლექციებისა და სემინარების სახით მიეწოდებათ. ინტერაქტიური პრაქტიკა ნაკლებად გამოიყენება. ლექციების მექანიკური დამახსოვრება უფრო მნიშვნელოვანადაა მიჩნეული, ვიდრე პრობლემის გადაწყვეტა. ამდენად, ნაკლები ყურადღება ექცევა ანალიტიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

იურიდიული განათლების კიდევ ერთი სუსტი მხარეა წარმატებული სტუდენტების სტაჟირების მცირე შესაძლებლობები. სტაჟირება 1 წლით განისაზღვრება და 4 წლის სწავლების შემდეგაა გათვალისწინებული. სტაჟირება გულისხმობს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიცემასა და ადვოკატთა და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენელთა მუშაობის გაცნობას. სტუდენტები ვალდებული არიან, გაიარონ 1-წლიანი სტაჟირება. სახელმწიფო უნივერსიტეტები უზრუნველყოფენ სტაჟირებას როტაციის პრინციპით, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში პრაქტიკის გავლას გულისხმობს. ადვოკატები და სტუდენტები აცხადებენ, რომ სახელმწიფო სტაჟირება იურიდიული ფაკულტეტებზე ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან დაწესებულებები არ აძლევენ სტუდენტებს

რეალურ წარმოდგენას სამუშაოზე. მეტიც, სტუდენტებს პრაქტიკულად არ აქვთ საშუალება, გაიარონ პრაქტიკა კერძო სექტორში. ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს სტაჟირების დიდი არჩევანი და შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ცალკე არ არის გამოყოფილი თავი იურიდიული განათლების თაობაზე, მიიჩნევა, რომ ის დადებით ზეგავლენას მოახდენს იურიდიული ფაკულტეტის კურსდამამთავრებულთა პრაქტიკულ და ანალიტიკურ უნარ-ჩვევებზე. იურიდიულ განათლების პრობლემის გადასაჭრელად, უახლოეს მომავალში პარლამენტი გეგმავს უმაღლესი იურიდიული განათლების შესახებ ახალი კანონის მიღებას. კანონის ფარგლებში, განიხილება იურიდიული ფაკულტეტების აკრედიტაციის საკითხი, სასწავლო პროგრამის შედგენის წესების განსაზღვრას და სხვა მრავალი საკითხის მოგვარებას. სავარაუდოდ, ზემოხსენებული კანონი „უმაღლესი იურიდიული განათლების“ შესახებ ხელს შეუწყობს იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემას.

კიდევ ერთი პრობლემა იურიდიული რესურსისა და მასალის არარსებობაა, რაც სწავლებისათვის აუცილებელია. არსებობს მხოლოდ რამდენიმე სათანადო ბიბლიოთეკა - ერთი უზენაეს მსასამართლოში და მეორე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ორივე ბიბლიოთეკა თბილისშია. ქვეყნის არცერთი ბიბლიოთეკა არ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტს. არ არსებობს ელექტრონული იურიდიული რესურსი და საშუალებები (კომპიუტერები) შესაძლო ელექტრონული წყაროების დასადგენად. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში.

## **ფაქტორი 9. საკვალიფიკაციო პროცესი**

***ადვოკატად მუშაობის დასაწყებად, აუცილებელია სამართლიანი, მკაცრი და გამჭვირვალე გამოცდის ჩაბარება და სწავლის (სტაჟირების) დასრულება.***

დასკვნა	შეფასება: ნეიტრალური
2006 წლის 1 ივნისიდან ყველა ადვოკატისთვის სავალდებულო იქნება ადვოკატთა გამოცდის ჩაბარება და მუშაობის 1 წლის სტაჟი. კანონი არ აკონკრეტებს ითველბა თუ არა სტაჟირება გამოცდილებად.	

### **ანალიზი/საფუძველი:**

„ადვოკატთა შესახებ“ კანონი მუხლი 10 განსაზღვრავს ადვოკატად მუშაობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, რაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში წევრობასაც განაპირობებს ასოციაციაში გაწევრიანება სავალდებულოა ყველასთვის, ვისაც სურს საადვოკატო საქმიანობის განხორციელება. ასეთი მოთხოვნებია:

- ა. უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ბ. ადვოკატის გამოცდის ჩაბარება;
- გ. ადვოკატის ფიცის დადება, (მუხლი 21<sup>1</sup>, კანონი „ადვოკატთა შესახებ“)

დ. იურისტად ან სტაჟორად მუშაობის 1 წლის გამოცდილება მაინც.

ვინაიდან, კანონი განსაზღვრავს ადვოკატთა გამოცდების ორგანიზებას, მოხდა ისე, რომ ადვოკატებს მიეცათ ვადა 2006 წლის 1 ივნისამდე გამოცდების ჩასაბარებლად (კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 40.4).

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ გამოყოფს ადვოკატთა გამოცდების 3 სახეობას - საერთო, სამოქალაქო და სისხლის სამართალი და იძლევა საგანთა ჩამონათვალს, რომელიც შეტანილია თითოეულ გამოცდაში (კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი 11.3). კანონი „ადვოკატთა შესახებ“ მუხლი 11.6.ა-ვ ადგენს, რომ: „სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში: საკონსტიტუციო სამართალი; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი“. ამავე კანონის მუხლი 11.7.ა-ვ ადგენს, რომ „სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში: სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე, ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში: საკონსტიტუციო სამართალი; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი; ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი; სისხლის სამართალი; სისხლის სამართლის პროცესი“.

ადვოკატთა ასოციაციის შექმნისთანავე, კანონი „ადვოკატთა შესახებ“ მუხლები 26.ბ ითვალისწინებს აღმასრულებელი საბჭოს მიერ ადვოკატთა საგამოცდო კომიტეტის შექმნას; კომიტეტის წევრთა დამტკიცება ხდება ასოციაციის საერთო კრებაზე. ამავე კანონის თანახმად, აღმასრულებელმა საბჭომ უნდა შეარჩიოს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც ჩაატარებს იურისტთა და ადვოკატთა სხვადასხვა ასოციაციების წევრთა გამოცდას. კანონი ადვოკატთა შესახებ მუხლი 26.4.გ. ადგენს, რომ აღმასრულებელმა საბჭომ უნდა: „გაუწიოს კოორდინაცია ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე; განსაზღვროს ტესტირების ჩატარების თარიღი, ორგანიზაციულად უზრუნველყოს ტესტირების მომზადება.“ მსგავსი საკითხების განხილვა საერთო კრების კომპეტენციაში შედის (მუხლი 24.2.გ). „ადვოკატთა შესახებ კანონის“ მიხედვით, ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე ადვოკატთა გამოცდების ჩატარებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოა პასუხისმგებელი. იუსტიციის საბჭო ვალდებულია, შექმნას კომისია. ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის წევრთა ნახევარს (8 წევრი) უნდა შეადგენდნენ იურისტთა და ადვოკატთა სხვადასხვა გაერთიანებების წარმომადგენლები. (მუხლი 40.1-4). ისინი უნდა იყვნენ კონსტიტუციური სამართლის, ადამიანთა უფლებების, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტები. წევრობა ანონიმურია. ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისია შეამოწმებს გამოცდების შედეგებს და განიხილავს გამოცდის შინაარსთან დაკავშირებით შემოსულ საჩივრებს.

შეფასებაზე მუშაობის პერიოდში ჩატარდა ადვოკატთა ორი გამოცდა: პირველი 2003 წლის ნოემბერში, ხოლო მეორე - 2004 წლის სექტემბერში. ორივე ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ABA/CEELI-ს ფინანსური დახმარებითა და

მხარდაჭერით. ეს შეესაბამება „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 11.2 მუხლის მოთხოვნებს. მოთხოვნების შესაბამისად, გამოცდები წელიწადში ორჯერ უნდა ჩატრდეს. მიუხედავად ამისა, ადვოკატთა ასოციაციის ირგვლივ შექმნილი გაურკვეველი სიტუაციის გამო, მეტი გამოცდა არ ჩატარებულა. ეს სირთულეს უქმნის იმ ადვოკატებს, რომლებიც ელოდებიან გამოცდას და რომელთა სტატუსი 2006 წლის 1 ივნისის შემდეგ შეიცვლება.

ჩატარებული გამოცდები გამჭვირვალე და სამართლიანი იყო, თუმცა არა მკაცრი. ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ტესტები შეიცავდა ბევრ ისეთ საკითხს, რომელიც არ არის დაკავშირებული საადვოკატო პრაქტიკასთან. ტესტები შეიცავდა 100 კითხვას, რომელთაც თან ერთვოდა პასუხის რამდენიმე ვარიანტი და რომელიც შემთხვევითობის პრინციპით - 5129 შეკითხვიდან შეირჩა. აღნიშნული 5129 კითხვა წინასწარ გამოქვეყნდა და დაურიგდა გამოცდაში მონაწილეობის მსურველებს. ტესტებში არ იყო თხრობითი პასუხის შემცველი ტიპის კითხვები, რადგან მიჩნეულ იქნა, რომ ასეთი ტესტის შეფასება შემფასებლის სუბიექტურობაზე იქნებოდა დამოკიდებული. ამიტომ მოხდა ისეთი კითხვების შეტანა, რომელსაც სავარაუდო თან პასუხები ერთვოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზომა იყო მიღებული გამოცდაზე გადაწერისა და სხვა სახის დარღვევების თავიდან ასარიდებლად, ასეთ ფაქტებს მაინც ჰქონდა ადგილი. ძნელია, განისაზღვროს, მართლა იყო თუ არა ასეთი ფაქტები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოცდების შედეგები შეესაბამება მოსალოდნელ შედეგს. მაგალითად, პირველ გამცდაზე: 1079 მონაწილეთაგან, გამოცდა ჩააბარა 772-მა (ჩაბარების პროცენტული მაჩვენებელი 71%). მეორე გამოცდაზე - 1267 მონაწილედან, გამოცდა ჩააბარა 2 059-მა, გამსვლელი ქულა 62%-მა მიიღო.

#### **ფაქტორი 10. ლიცენზიის გამცემი ორგანო**

*საადვოკატო საქმიანობის დაწყების საკითხს წყვეტს მიუკერძოებელი ორგანო და განხილული უნდა იქნას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ორგანოს მიერ.*

დასკვნა:	შეფასება: ნეიტრალური
2006 წლის 1 ივნისიდან, საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისთვის, სავალდებულო იქნება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მოვალეობებში შედის საადვოკატო საქმიანობის დაწყებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა ისე, როგორც ამას „ადვოკატთა შესახებ“ კანონი მოითხოვს. მათი გადაწყვეტილებები განიხილება სასამართლოების მიერ.	

## ანალიზი/საფუძველი

საქართველოს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მიხედვით, 2006 წლის 1 ივნისიდან საადვოკატო პრაქტიკის განხორციელებისთვის, აუცილებელია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება. ასოციაციის წევრი შეიძლება, გახდეს იურიდული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, რომელსაც გავლილი აქვს ადვოკატთა გამოცდა, გააჩნია საადვოკატო საქმიანობის ერთი წლის სტაჟი მაინც, დადებული აქვს ადვოკატის ფიცი ან დაწერილი აქვს განცხადება, რომელიც დამტკიცებულია ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ. (კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 10.1.ა-დ). ამავე კანონის მუხლი 17.2.დ თანახმად, შესაძლებელია ასოციაციაში წევრობაზე უარის სასამართლოში გასაჩივრება. ამჟამად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არარსებობის გამო, არ არსებობს ადვოკატთა ლიცენზირების მექანიზმი; ასოციაციის ირგვლივ არსებული გაურკვეველი მდგომარეობისა და იმის გამო, რომ სამოქალაქო სამართლის საქმეთა ადვოკატს უფლება აქვს, წარმოადგინოს კლიენტი სასამართლოში, საადვოკატო პრაქტიკის განსახორციელებლად არ არსებობს ოფიციალური მოთხოვნები. ასოციაციის ფუნქციონირების დაწყების შემდეგ არსებული ვითარება შეიცვლება, ვინაიდან ასოციაციის წევრობა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საშუალებას იძლევა.

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ მუხლი 21 ადგენს, რომ განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ აღმასრულებელ საბჭოს უნდა წარედგინოს. კერძოდ, მუხლი 21.2.ა-გ განსაზღვრავს, რომ კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ავტობიოგრაფია და სერტიფიკატი ადვოკატთა გამოცდის შესახებ. წევრობაზე უარის თქმის საფუძველი ჩამოყალიბებულია მუხლში 21.3.ა-გ. ეს მოიცავს (ა) მუხლი 10.ა. ბ. და პარაგრაფი 2 მოთხოვნების დაკმაყოფილებას; (ბ) თუ ადვოკატთა გამოცდის ჩაბარების შემდეგ 7 ან მეტი წელია გასული, (გ) თუ განმცხადებელის წევრობა შეწყვეტილია მუხლი 21<sup>3</sup>.ბ, ვ საფუძველზე და წევრობის შეწყვეტის შემდეგ 3 წელი არ არის გასული. ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებთან ერთად, კანონი მუხლი 10.2 ადგენს, რომ „ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლვეი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონით დადგენილი წესით“. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მუხლი 21<sup>3</sup> თანახმად, წევრობის შეწყვეტა სხვა მიზეზების გამოცაა შეაძლებელი. ეს მოიცავს (ა) პირადი განცხადების წარდგენას, (ბ) ეთიკის კომისიის ან/და სასამართლო გადაწყვეტილებას, (გ) არაქმედითუნარიანობას, (დ) კომისიის ბრალდებას სისხლის სამართლის ჩადენის თაობაზე, (ე) მკურნალობა სასამართლოს გადაწყვეტილებით, (ვ) მუხლის მე-10 მოთხოვნათა შეუსრულებლობა, (ზ) საწევროს არგადახდას, (თ) გარდაცვალებას.

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ადგენს, რომ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო წარმოადგენს ასოციაციის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც 9 წევრისაგან შედგება; აქედან 8 მათგანი დემოკრატიულ საფუძველებზე ასოციაციის საერთო კრების მიერ აირჩევა 3 წლის ვადით, მეცხრე წევრი ასოციაციის პრეზიდენტია. კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 26.2.

**ფაქტორი 11. დისკრიმინაციის დაუშვებლობა პროფესიაში მიღებისას**

*აკრძალულია პროფესიაში დაშვებაზე უარის თქმა რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ფერის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან ფიზიკური ნაკლის გამო.*

დასკვნა:	შეფასება: ნეიტრალური
საქართველოს კონსტიტუცია და კანონი „ადვოკატთა შესახებ“ უზრუნველყოფენ თანასწორ შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, ადვოკატთა გამოცდის ქართულ ენაზე ჩატარების და სასამართლო პროცესის სახელმწიფო ენაზე წარმართვის მოთხოვნა, ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლებს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში პრობლემებს შეუქმნის.	

**ანალიზი/საფუძველი:**

საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 14 ადგენს, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და თანასწორია კანონის წინაშე რასის, ფერის, სქესის, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობის, ქონების, წოდების ან საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად“. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14. ამავე დროს, კონსტიტუციით უზრუნველყოფილია, რომ „საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულია, აფხაზეთში კი - აფხაზური (ცვლილება შეტანილია 2002 წლის 10 ოქტომბერს)“ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 8.

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ შეიცავს თანასწორობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. მაგალითად, მუხლი 10.1.ა-დ ადგენს, რომ „ადვოკატი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, თუ მას: ა. გააჩნია უმაღლესი იურიდიული განათლება; ბ. ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა კანონით დადგენილი წესით; გ. დადებული აქვს ადვოკატის ფიცი (წერილობითი განაცხადი) კანონის შესაბამისად; დ. გააჩნია ადვოკატად ან სტაჟიორად მუშაობის ერთი წლის სტაჟი მაინც“. კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 10.1.ა-დ. თუმცა, ამავე მუხლის მეორე პარაგრაფში ნათქვამია, რომ „ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონით დადგენილი წესით“. ამასთან, კანონის მუხლი 11.9 ადგენს, რომ „ადვოკატთა გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე“. ასეთი მოთხოვნა სირთულეს უქმნის ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს, განხორციელონ საადვოკატო საქმიანობა; ეს „დე ფაქტო“ დისკრიმინაციას წარმოადგენს. მეტიც, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მიხედვით, ადვოკატი

მხოლოდ საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს. კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 10.1.

ინფორმაცია პროფესიაში დაშვების დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ არ არსებობს. სახელმწიფოს პოლიტიკა, უზრუნველყოფს ობოლთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა იურიდიულ და სხვა ფაკულტეტებზე ჩარიცხვას. ზოგადად, იურიდიულ პროფესიასთან მიმართებაში დისკრიმინაცია არ უნდა იქნას მიჩნეული მნიშვნელოვან საკითხად.

მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ პრეზიდენტმა გააკეთა განცხადებები საქართველოს მოსახლეობის მრავალფეროვნების, ეთნიკური ჯგუფების მიმართ ტოლერანტობასა და ყველა ჯგუფის ინტეგრირების შესახებ, ქართველები უარყოფენ უმცირესობათა (მაგალითად, სომეხთა და აზერბაიჯანელთა) მიმართ დისკრიმინაციის არსებობას, ისინი მაინც გამოთქვამენ სკეპტიციზმს, მაგალითად, აზერბაიჯანელი ადვოკატის თაობაზე. ერთერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ „აზერბაიჯანელები არჩევენ, გახდნენ ფერმერები და მათ არ გააჩნიათ ისეთი ინტელექტუალური ტრადიციები, როგორც სომეხებს“. ერთერთმა მოსამართლემ, რომელიც აზერბაიჯანელთა მიერ დასახლებულ რაიონში მოღვაწეობს, განაცხადა, რომ აზერბაიჯანელები აბარებენ უნივერსიტეტებში საქართველოს ფარგლებს გარეთ, და, როგორც წესი, იქვე დარჩენას ცდილობენ.

ერთერთმა ადვოკატმა თბილისიდან დაადასტურა, რომ დისკრიმინაცია არ არსებობს, თუმცა განაცხადა, რომ ენობრივი ბარიერის გამო აზერბაიჯანელებსა და სომეხებს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში პრობლემები ექმნებათ, ვინაიდან ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები რუსულ განათლებას იღებდნენ. აზერბაიჯანელი და სომეხი ადვოკატები, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ, აცხადებენ, რომ მათ გაუჭირდებათ ადვოკატთა გამოცდის ჩაბარება, რადგან ისინი სრულყოფილად არ ფლობენ ქართულ ენას. ამდენად, 2006 წლის 1 ივნისის შემდეგ, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა ძალაში შესვლისთანავე, ასეთი ადვოკატები ვერ შეძლებენ საქართველოში საქმიანობის გაგრძელებას.

საქართველოს ერთერთ რეგიონში, რომელიც სომხეთის საზღვართანაა განლაგებული და სადაც ქართველები უმცირესობაში არიან, შეიძლება არსებობდეს ქართველ ადვოკატთა დისკრიმინაცია, თუმცა ამის თაობაზე არცერთი ოფიციალური ცნობა არ არსებობს.

აგრეთვე, უარყოფენ ფიზიკურ ნაკლთა მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციას, თუმცა, იურიდიული ფაკულტეტები, სასამართლო შენობები და ზოგადი პირობები ქვეყანაში ცხადყოფს, რომ ფიზიკური ნაკლის მქონე პირთათვის მობილურობა და კომუნიკაცია დაუძლეველი დაბრკოლებაა.

მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკის არ არსებობისა, ნათელია, რომ ქალები საკმაოდ ფართოდ არიან წარმოდგენილნი იურიდიულ ფაკულტეტებზე და იურიდიულ პროფესიაში. მაგალითად, ქალებს დაკავებული აქვთ მნიშვნელოვანი თანამდებობები, როგორცაა იურიდიული ფირმების ხელმძღვანელი ან

პროკურორის მოადგილე. ერთერთი წამყვანი ადვოკატი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშულის საქმეებზე მუშაობს, ახალგაზრდა ქალბატონია. კითხვაზე ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შესახებ, მამაკაცებმაც და ქალებმაც გაკვირვება გამოთქვეს და გაეცინათ შეკითხვაზე.

### III. საქმიანობის განხორციელების პირობები და სტანდარტები

#### ფაქტორი 12. მომზადება დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობისთვის

*ადვოკატებს ეძლევათ საქმიანობის დამოუკიდებლად ან სხვა ადვოკატებთან ერთობლივად განხორციელების საშუალება.*

დასკვნა:	შეფასება: დადებითი
ადვოკატებს გააჩნიათ კონსტიტუციური უფლება, საქმიანობა დამოუკიდებლად ან სხვა ადვოკატებთან ერთად, განახორციელონ. პრაქტიკულად, ერთადერთი დაბრკოლება - სახსრებია.	

#### ანალიზი/საფუძველი:

კონსტიტუცია ადგენს, რომ „ყველას გააჩნია საზოგადოებრივი კავშირების, პროფესიულის ჩათვლით, შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება“. - საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26.1. თუმცა, მსგავსი საქმიანობის შეზღუდვა შესაძლებელია ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად: „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“. რაც საადვოკატო პრაქტიკის განხორციელებას შეეხება, საადვოკატო საქმიანობის ორგანიზებას „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მუხლი 18 ადგენს, რომ „ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად, შექმნას საადვოკატო ბიურო (ოფისი, კანტორა, იურიდიული ფირმა და ა.შ.) ამხანაგობის ან იმ სამეწარმეო იურიდიული პირის სახით, რომელშიც არანაკლებ 1 პარტნიორის პასუხისმგებლობა არ არის შეზღუდული“. - კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 18.1. გარდამავალ პერიოდში, 2006 წლის 1 ივნისამდე, ყველა იურიდიული ბიუროს რეგისტრაცია უნდა მოხდეს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მუხლი 18 მოთხოვნათა შესაბამისად.

რეალურად, რეგიონში ადვოკატთა უმრავლესობა იურიდიულ კონსულტაციებში მსახურობენ; რაც საბჭოთა კავშირის გადმონაშთია. მსგავსი კონსულტაციების ზუსტი რიცხვი უცნობია. როგორც წესი, მათ უფროსი იურისტები ხელმძღვანელობენ. კლიენტები დებენ ხელშეკრულებას ადვოკატებთან. თუმცა, ადვოკატები ვალდებულნი არიან, კონტრაქტის ღირებულების გარკვეული

პროცენტი კონსულტაციას გადაუხადონ; ეს წილი, ჩვეულებრივ, 5% შეადგენს. თანხა მიმდინარე ხარჯების დაფარვისთვის გამოიყენება.

თბილისში, ადვოკატთა უმრავლესობა ინდივიდუალურად, ან მცირე ფირმებში საქმიანობენ. როგორც ჩანს, მცირე ზომის იურიდიული ფირმები ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა არსებობს უფრო მსხვილი ფირმებიც, რომლებიც 20-25 ადვოკატს, ადვოკატთა თანაშემწეს და სტაჟიორს აერთიანებს. ადვოკატთა თანაშემწეთა და სტაჟიორთა შესახებ წესები იხილეთ კანონში ადვოკატთა შესახებ, მუხლები 16 და 17. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკური მონაცემები თბილისში და მთლიანად საქართველოში იურიდიული ფირმების რიცხვის შესახებ, არ არსებობს. მსხვილი იურიდიული ფირმები, როგორც აშშ-ში ან დასავლეთ ევროპაშია, საქართველოში არ არსებობს. ამის ძირითადი მიზეზი ფინანსური სახსრების უქონლობაა, ვინაიდან ადვოკატებს არ გააჩნიათ საკმარისი სახსრები, შექმნან იურიდიული ფირმები. აგრეთვე, ადვოკატები აცხადებენ, რომ მათ მოსწონთ, რომ აქვთ სხვა ადვოკატებთან კონსულტაციის შესაძლებლობა, რადგან ამგვარად ადვილდება კლიენტების მოზიდვა.

### **ფაქტორი 13. რესურსები და ანაზღაურება**

***ადვოკატებს ხელი მიუწვდებათ ინფორმაციაზე და სხვა რესურსებზე, რაც აუცილებელია კომპეტენტური იურიდიული მომსახურების უზრუნველსაყოფად და ხდება მომსახურების სათანადოდ ანაზღაურება.***

დასკვნა:	შეფასება: უარყოფითი
<p>ზოგადად, ქალაქის ბიბლიოთეკები ფლობენ ძირითად რესურსებს ადეკვატური იურიდიული მომსახურების გასაწევად. თუმცა, იგივეს თქმა შეუძლებელია რეგიონებზე, სადაც ადვოკატებს არ გააჩნიათ ასეთი რესურსი. ანაზღაურება იურიდიული მომსახურებისთვის, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ძალიან დაბალია.</p>	

### **ანალიზი/საფუძველი:**

#### **ა. იურიდიული ინფორმაციისა და რესურსების ხელმისაწვდომობა**

თბილისში და სამ სხვადასხვა ქალაქში (ბათუმი, ქუთაისი და გორი) მოღვაწე ადვოკატები აცხადებენ, რომ მათ მიუწვდებათ ხელი ინფორმაციასა და რესურსებზე სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად. რაიონებში და სოფლად სიტუაცია სხვაგვარია - ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ძირითად პრობლემას წარმოადგენს. რეგიონებში მომუშავე ადვოკატები აცხადებენ, რომ ხშირ შემთხვევაში მათ არ იციან კანონებში შეტანილი ცვლილებების შესახებ, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ცვლილებები უამრავია და ხშირად ხორციელდება.

იურიდიული ბიბლიოთეკები, რომლებიც ძირითადად, თბილისშია თავმოყრილი, მათი დონე დასავლურ სტანდარტს არ შეესაბამება. უზენაეს სასამართლოს გააჩნია ადეკვატური ბიბლიოთეკა, აგრეთვე ბიბლიოთეკა მოქმედებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისის ოფისში. ამ ორგანიზაციის რეგიონულ ფილიალებში შექმნილია მცირე ბიბლიოთეკები და ადვოკატებს და იურისტებს შეუძლიათ აღნიშნული ბიბლიოთეკებით სარგებლობა. ზოგმა მოსამართლემ (თბილისს ფარგლებს გარეთ) განაცხადა, რომ ხშირად ისინი იურიდიულ ლიტერატურას (კოდექსებს და სხვა კანონებს) ადვოკატებს სთხოვენ. კანონები და მათში ცვლილებები რამდენიმე იურიდიული გამომცემლობის მიერ გამოიცემა. გამოცემული წიგნები თბილისის სპეციალიზირებულ მაღაზიებში იყიდება. მაღალი ხარისხის პუბლიკაცია დაახლოებით 15 ლარი (9 აშშ დოლარი) ღირს. არსებობს გაზეთი „საკანონმდებლო მაცნე“, რომელშიც ქვეყნდება კანონებში შეტანილი ცვლილებები; ზოგი ადვოკატი ამბობს, რომ ისინი დებულებებს ხსენებულ გაზეთს. აგრეთვე, ფუნქციონირებს კომპიუტერული პროგრამა „კოდექსი“, რომელიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, სამოქალაქო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და ადმინისტრაციული კოდექსის და სხვა კანონების ხელმისაწვდომობას „ონ-ლაინ“ რეჟიმში. თუმცა, პროგრამის ინსტალაცია 50 ლარი (30 აშშ დოლარი), ხოლო მისი განახლება 20 ლარი (12 აშშ დოლარი) ღირს. მრავალ ადვოკატს არ აქვს ამ თანხის გადახდის საშუალება, ეს განსაკუთრებით რაიონებში მოღვაწე ადვოკატებს ეხება. „კოდექსი“-ს პროგრამაში შესვლა შეუძლებელია ინტერნეტ-კაფეების საშუალებით, თანაც, ასეთი კაფეები რეგიონთა უმრავლესობაში არ არსებობს. ინტერნეტის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია რეგიონებში ელექტროენერჯის დეფიციტის და ინტერნეტში მუშაობის გამოცდილების უქონლობის გამოც.

ABA/CEELI-მ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 1996-2002 წლებში და აგრეთვე 2002 წლის განმავლობაში თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გამოაქვეყნა. წარსულში, ABA/CEELI-მ აგრეთვე გამოსცა უზენაეს სასამართლოში ადამიანის უფლებების საკითხზე განხილული საქმეები. სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა უზენაესი სასამართლოს ზოგი სხვა საქმეც გამოაქვეყნა. „საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია“, ABA/CEELI-ს დახმარებით, უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მონაცემთა ბაზას ავსებენ. ამჟამად, მასში 2001-2002 წელს მიღებული გადაწყვეტილებებია თავმოყრილი. ტარდება მისი განახლება და მალე 2003-2005 წლებში მიღებული გადაწყვეტილებებიც შევა. განსაზღვრული არ არის გადასახადი ამ მონაცემთა ბაზის სარგებლობისა და მოწოდებისთვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, იურიდიული რესურსი მწირია, ადვოკატები კი არ საუბრობენ რესურსების გაფართოების საჭიროებაზე და კმაყოფილნი არიან, თუ მათთვის ხელმისაწვდომია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და კომენტარები ან სახელმძღვანელოები. ცნობილია, რომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეგიონულმა ოფისებმა უზრუნველყვეს ადვოკატები საჭირო რესურსებით, თუმცა ოფისების ბიბლიოთეკები ძალიან მცირეა და ძირითადად სხვადასხვა კოდექსების ასლებს შეიცავს. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, კოდექსებში არ არის შეტანილი მათში განხორციელებული

ცვლილებები. მეტიც, ბიბლიოთეკებს არ აქვთ სამართლებრივი ლიტერატურა (სახელმძღვანელოები). კერძო ადვოკატების ბიბლიოთეკებიც ძალზედ მწირია. თუმცა, ისევ გავიმეორებთ, რომ მასალებისა და რესურსების ადეკვატურობის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას არავის არ გამოუხატავს უკმაყოფილება. ეს, ალბათ, ამერიკისა და საქართველოს შორის საქმიანობის წარმართვის სტილის და აგრეთვე სამოქალაქო კოდექსისა და საერთო სამართლის სისტემებს შორის განსხვავებებზე მიუთითებს. საქართველოში არ ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების პრეცედენტის ციტირება, რითაც თავიდან აცილებულია მიღებული გადაწყვეტილებების მოხსენიება და მასთან დაკავშირებით გამოცემული პუბლიკაციების გამოყენება. აგრეთვე შესაძლებელია, ეს ცუდი იურიდიული განათლებისა და კვლევის ჩატარების მეთოდის უცოდინრობის შედეგი იყოს.

სათანადო პროფესიული იურიდიული მომსახურების გასაწევად არ არსებობს სხვა აუცილებელი რესურსიც. არსებობს ფართის პრობლემა და რამდენიმე ადვოკატს ერთ ოთახში უწევს მუშაობა. ზოგადად, ოფისები გაურემონტებელია. არ არსებობენ მდივნები, თუმცა ზოგჯერ შეგხვდებით კლერკი-თანაშემწე, რომელიც მდივნის მოვალეობასაც ასრულებს. არ არის საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერები და მხოლოდ რამდენიმე ანტიკური საბეჭდი მანქანაა გამოყენებაში, თუმცა, თბილისში არსებულ რამდენიმე სერიოზულ იურიდიულ ფირმას კარგი ოფისები გააჩნია და აქვს სხდომათა ოთახები, სავიზიტო ბარათები, კომპიუტერები და საკანცელარიო ნივთები, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისია.

## **ბ. ანაზღაურება**

რთულია იურიდიული მომსახურების ანაზღაურების განსაზღვრა. კანონი „ადვოკატთა შესახებ“ უზრუნველყოფს იურიდიულ მომსახურებაზე კონტრაქტის დადების უფლებას. მაგალითად, კანონის მუხლი 4.1.ა-ს მიხედვით „ადვოკატს გააჩნია უფლება: წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებანი საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში, საგამოძიებო ორგანოებში და სხვა ფიზიკურ პირებთან და სამართლებრივ ორგანოებში“. ამასთან, კანონი ადვოკატთა შესახებ, მუხლი 19.1-2. ადგენს „1. ადვოკატი ახორციელებს საქმიანობას ხელშეკრულების საფუძველზე; 2. ადვოკატი ვალდებულია საგამოძიებო ორგანოებს წარუდგინოს კლიენტის მიერ დადგენილი წესით გაცემული უფლებამოსილების შესახებ საბუთი ან ბრძანება და აგრეთვე ადვოკატის სერტიფიკატი“. ყველა ადვოკატი აცხადებს, რომ ისინი უპრობლემოდ აღწევენ შეთანხმებას კლიენტებთან.

ჰონორარის გადახდა ხდება სტაჟის, რეპუტაციის, სპეციალიზაციის, საქმის სირთულის მიხედვით. ხელშეკრულებათა უმრავლესობა ითვალისწინებს ფიქსირებულ თანხას. არავის არ უფიქრია ხელშეკრულებაში ჰონორარის საკითხზე პრაქტიკული მიდგომის გამოყენება, თუმცა ზოგ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო პრემიის გადახდა საქმის წარმატებულად დასრულების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ ამჟამად მიმდინარეობს ეთიკის კოდექსზე მუშაობა. ის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა მიიღოს, ხოლო მისი შემუშავება ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კოდექსების გათვალისწინებით ხდება;

ამ ქვეყნებში კი არ გამოიყენება მოქნილი მიდგომა. ამასთან, ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ კლიენტებთან დგება შეთანხმება დამატებითი ჰონორარის გადახდის თაობაზე, თუ საქმე მოსალოდნელზე რთულია ან დაგეგმილზე უფრო დიდხანს გაგრძელდება. მხოლოდ რამდენიმე ადვოკატი იღებს საათობრივ ანაზღაურებას.

აგრეთვე, რთულია იმის დადგენა ადვოკატთა რა პროცენტი ახერხებს პროფესიით ადეკვატური ანაზღაურების მიღებას. ფაქტები ცხადყოფს, რომ მხოლოდ მცირე პროცენტი იღებს საკმაო ანაზღაურებას, და ყველა მათგანი ქალაქში მოღვაწეობს. დანარჩენები კი მხოლოდ მცირე შემოსავალს იღებენ ან ფინანსურ სიდუხჭირეს განიცდიან.

2059 პირმა გაიარა გამოცდა. აქედან 1204 მონაწილემ მიიღო გამსვლელი ქულა და მოიპოვა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების უფლება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ნახევარი შეძლებს პროფესიით თავის რჩენას.

#### **ფაქტორი 14. უწყვეტი იურიდიული განათლება**

*უნარჩვევებისა და ცოდნის გასაღრმავებლად ადვოკატებისთვის ხელმისაწვდომია უწყვეტი იურიდიული განათლება.*

დასკვნა:	შეფასება: უარყოფითი
კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ითვალისწინებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის შექმნას; თუმცა, ამჟამად, არ არსებობს უწყვეტი იურიდიული განათლების მოთხოვნა და ასეთი სასწავლო პროგრამები დონორ ორგანიზაციათა საშუალებითაა შესაძლებელი და ის სპონტანურ ხასიათს ატარებს.	

#### **ანალიზი/საფუძველი:**

კანონის მიხედვით, ადვოკატთა პროფესიული ტრენინგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაა. მაგალითად, კანონის მუხლი 23.3 მოთხოვნათა შესაბამისად, უნდა შეიქმნას ადვოკატთა სასწავლო ცენტრი. „ადვოკატთა სასწავლო ცენტრი იქმნება ადვოკატთა ასოციაციის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს ადვოკატთა პროფესიულ მომზადებას. ასოციაცია განსაზღვრავს ადვოკატთა ტრენინგ ცენტრის საქმიანობას“. თუმცა, ასოციაციის ირგვლივ არსებული ბუნდოვანი მდგომარეობის გამო, სასწავლო ცენტრის შესაქმნელად ნაბიჯები არ გადადგმულა. ასოციაციის შექმნის შემთხვევაშიც კი, გაურკვეველია, როდის დაფუძნდება სასწავლო ცენტრი, რადგან კანონში ვადები არ არის მითითებული. მეტიც, არ არის კანონი, რომელიც მოითხოვს ადვოკატებისგან სასწავლო კურსებზე დასწრებას. მაგალითად, არც ასოციაციის წესდება და არც ეთიკის კოდექსის პროექტი არ შეიცავს მსგავს მოთხოვნებს.

საერთაშორისო დონორთა საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ტრენინგებზე დასწრება. ასეთი ტრენინგები ტარდება ABA/CEELI-ს, ევროპის საბჭოს, ეუთო-ს.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისა და სხვათა მიერ. ისინი ან თავად ატარებენ ასეთ ტრენინგებს, ან აფინანსებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორცაა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დონორთა დახმარების გარეშე ადგილობრივ ასოციაციებს არ აქვთ ტრენინგების ჩატარების საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგების დამფინანსებელმა დონორებმა კარგად იციან, რაოდენ საჭიროა ტრენინგების რეგიონებში ჩატარება, ეს მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. ტრენინგების უმეტესობა ტარდება თბილისში, რაც საკმაოდ მოუხერხებელი და ძვირადღირებულია; რეგიონში მოღვაწე იურისტებს უჭირთ ტრენინგებზე დასასწრებად ჩამოსვლა. რესპონდენტებმა არაერთგზის აღნიშნეს, რომ მათ ტრენინგებზე დასწრების დიდი სურვილი გააჩნიათ, ამაზე ძირითადად თბილისის ფარგლებს გარეთ მოღვაწე ადვოკატები საუბრობენ. სამწუხაროდ, მათ არ გააჩნიათ ასეთი შესაძლებლობა.

**ფაქტორი 15. ეთნიკურ, ეროვნულ და გენდერულ უმცირესობათა წარმომადგენლობა პროფესიაში**

*ეთნიკური და რელიგიური უმცირესობანი, ისევე როგორც ორივე სქესი, ადეკვატურადაა წარმოდგენილი იურიდიულ პროფესიაში.*

დასკვნა	შეფასება: ნეიტრალური
საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ეთნიკურ ქართველებსა და მართლმადიდებელებს შეადგენს; მიუხედავად ამისა, ქვეყანას გააჩნია მრავალი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ქალები კარგად არიან წარმოდგენილნი იურიდიულ პროფესიაში, თუმცა არა უმცირესობები.	

**ანალიზი/საფუძველი**

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის შესაბამისად „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებსა და ქალებს, იურიდიულ პროფესიაში, კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 10.1.ა -დ ადგენს, რომ „ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც:

- ა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ბ. გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება ამ კანონით დადგენილი წესით (გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა);
- გ. ამ კანონის შესაბამისად დადებული აქვს ადვოკატის ფიცი (წერილობითი); და
- დ. აქვს იურისტად ან ადვოკატად სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი. (კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 10.1.ა-დ).

მიუხედავად იმისა, რომ კანონში „ადვოკატთა შესახებ“ არ არის ნახსენები ეთნიკური უმცირესობანი ან სქესი, ის ფაქტი, რომ იქ აღნიშნულია, რომ „ნებისმიერ“ პირს შეუძლია იყოს ადვოკატი თუ ის აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს, გულისხმობს, რომ დისკრიმინაცია ეთნიკური წარმომადგენლობისა და სქესის ნიშნით დაუშვებელია. ნამდვილად, კანონი არ ადგენს ღია დისკრიმინაციას ეთნიკური წარმომავლობისა თუ სქესის მიხედვით.

ცოტა ხნის წინ ჩატარებული აღწერის ციფრების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 70.01% ქართველნი და მართმადიდებელნი არიან. საქართველოში აგრეთვე ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ჩეჩენთა და ქურთთა უფრო მცირე თემები. როგორც აღნიშნა ფაქტორში 11, არავის გაუკეთებია განცხადება პროფესიული თავლსაზრისით დისკრიმინაციის შესახებ; თუმცა, აღნიშნული უმცირესობანი არასაკმარისად ან საერთოდ არ არიან წარმოდგენილნი იურიდიულ პროფესიაში.

რაც შეეხება სომხებს, მათი ადვოკატთა რიგებში მცირე რაოდენობა აიხსნება ენობრივი ბარიერით. ტრადიციულად, სომხები რუსულ სკოლებში დადიოდნენ და არასათანადოდ ფლობენ ქართულ ენას. სასამართლო პროცესები კი, კანონის მიხედვით, იმართება სახელმწიფო, ქართულ ენაზე, რაც სომხებს არასახარბიელო პირობებში აყენებს. აზერბაიჯანელები აგრეთვე რუსულად მოლაპარაკენი არიან და მიჩნეულია, რომ მათი ინტერესის სფეროში სოფლის მეურნეობა შედის და არა სამართალი. ენობრივი ბარიერი მათ პრობლემას უქმნის. კვლევის პერიოდში შევხვდით ერთ ადვოკატს, რომელიც იძულებით გადაადგილებული პირია.

2005 წლის ივნისისთვის, ქალები შეადგენდნენ მთლიანი მოსახლეობის 50%-ზე ოდნავ მეტს<sup>6</sup>. უცნობია ქალ-იურისტთა პროცენტული რაოდენობა, თუმცა, ცხადია, რომ მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. ადვოკატ ქალებს არ გაუკეთებიათ განცხადება იურიდიულ ფაკულტეტზე ან იურიდიულ პროფესიაში მათი დაშვების სირთულეების შესახებ. ფაქტიურად, ერთერთი ყველაზე ძლიერი და პატივცემული ადვოკატი სისხლის სამართლის სფეროში - ქალია. ქალები ხელმძღვანელობენ იურიდიულ ფირმებს, არიან პროკურორები და მოსამართლეები. მნელი სათქმელია, რომ კლიენტები უპირატესობას მამაკაც-ადვოკატებს ანიჭებენ, ან ქალებს უფრო უჭირთ კლიენტების მოზიდვა. ძირითადად, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთა (ქალთა და ვაჟთა) რაოდენობა პრაქტიკულად თანაბარია. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა შორის ნაკლებადაა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

<sup>6</sup> მსოფლიოს საინფორმაციო ბიულეტენი, 2005 წლის 2 ივნისი; [www.cia.gov](http://www.cia.gov)

## **ფაქტორი 16. პროფესიული ეთიკა და ქცევა**

**პროფესიული ეთიკისა და ქცევის კოდექსები და ნორმები ჩამოყალიბებული და დაცულია.**

დასკვნა:	შეფასება: უარყოფითი
ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსი არ არსებობს. კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ადგენს, რომ უნდა შემუშავდეს პროფესიული ქცევის კოდექსი და ნორმების დანერგვის მექანიზმები. რაც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ არის განხორციელებული. აგრეთვე, კანონში მოცემულია რამდენიმე ეთიკური ნორმა და დისციპლინური სასჯელი; მიუხედავად ამისა, ამჟამად, ამ ნორმებს არავინ არ იცავს და არაეფექტურია.	

### **ანალიზი/საფუძველი**

კანონი „ადვოკატთა შესახებ“ შეიცავს მრავალ მითითებას პროფესიულ ეთიკასა და მის მნიშვნელობაზე. კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ადგენს, რომ ეთიკის კოდექსი უნდა შემუშავდეს ადვოკატთა ასოციაციის ჩამოყალიბებიდან 3 თვის ვადაში. კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 44. ამასთან, იმავე კანონი, რომელიც ადგენს საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს, შეიცავს ეთიკის კოდექსის ნორმების დაცვის მოთხოვნებსაც (კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 3.თ). ამავე კანონის მუხლი 5 იმეორებს ამ ვალდებულებას. რომელიც ადგენს, რომ ადვოკატის ერთერთი მოვალეობაა „კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ“.

ამასთან, მუხლი 6.1 ადგენს, რომ „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“. სხვა მუხლები ადგენენ სხვადასხვა ეთიკურ ვალდებულებებსა თუ შეზღუდვებს. ეს ზოგადად მოიცავს ეთიკური ამერიკელი და ევროპელი ადვოკატებისათვის კარგად ნაცნობ ეთიკურ სტრუქტურებს (შეზღუდვებს), როგორცაა ორი ოპონენტი-მხარის ინტერესთა წარმოდგენა (მუხლი 8.2) და პროფესიული საიდუმლოების დაცვა; მუხლი 28

შეიცავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის შემადგენლობის, ფუნქციების და კონკრეტული პროცედურების აღწერას.

რესპონდენტთათვის ეთიკის კოდექსის ან ქვევის კოდექსის შესახებ შეკითხვის შემდეგ, თითოეული, განსაკუთრებით კი მოსამართლეები, აღნიშნავენ ადვოკატთათვის პროფესიული ქვევის/ეთიკის კოდექსის მიღების აუცილებლობას. ასეთი სურვილი ეხმიანება საზოგადოების აღიარებას, რომ ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ერთერთ ინდიკატორს ქვეყნის ევროკავშირში წევრობისათვის „მზადყოფნის“ განსაზღვრისას, რადგან აუცილებელია საქმიანობის პროფესიონალიზაცია და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და ამალგება და რწმენა. ეთიკის კოდექსი აუცილებელი კომპონენტია დემოკრატიული ინსტიტუტების შენებისათვის, და საჭიროა ყველა პროფესიონალისთვის - არამარტო ადვოკატთათვის. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ პროფესიული ეთიკის ნორმების არარსებობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და აღნიშნავს, რომ კორუფციის დონე ადვოკატთა (მოსამართლეთა) შორის ძალიან მაღალია. კორუფცია ქრთამის გადახდის ფორმით არსებობს. არაეთიკური ქვევის სხვა სახეობაა დამატებითი ჰონორარის მიღების მიზნით (აღინიშნა მოსამართლეთა მიერ) საქმის ხელოვნურად გაჭიანურება. ზოგადად, ადვოკატები გამოთქვამენ იმედს, რომ მოხდება ეთიკის კოდექსის შემუშავება და ამოქმედება, მიუხედავად მცირე სკეპტიციზმისა, რომ მოხერხდება საკუთარი პროფესიის წარმატებულად მართვა.

მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ირგვლივ გაურკვეველია, ევროკავშირისა და ABA/CEELI-ს მხარდაჭერით მისმა პრეზიდენტმა და ადვოკატთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა ეთიკის კოდექსის პროექტზე; აღნიშნული სამუშაო უნდა დასრულდეს 3 თვის განმავლობაში, როგორც დადგენილია კანონით ადვოკატთა შესახებ. ხსენებული კოდექსი, რომელიც ასახავს ადვოკატთა შესახებ კანონის მოთხოვნებს, აგრეთვე შეიცავს ეთიკის დამატებით ნორმებს და ადვოკატთა მიმართ დევნის დაწყებასთან, შეფასებასთან და განკარგვასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და წესებს.

### **ფაქტორი 17. დისციპლინური დევნა და სანქციები**

*პროფესიის ნორმებისა და წესების დარღვევისთვის ადვოკატები დისციპლინურ დევნას და სანქციებს ექვემდებარებიან.*

დასკვნა:	შეფასება: უარყოფითი
მოქმედი დისციპლინური მექანიზმი ან სანქციები ადვოკატის მიერ პროფესიის ნორმებისა და წესების დარღვევისათვის არ არსებობს	

### **ანალიზი/საფუძველი**

ერთადერთი დისციპლინური დებულება მოყვანილია კანონში ადვოკატთა შესახებ. მაგალითად, მუხლი 5 ადგენს, რომ „ადვოკატის ერთერთი მოვალეობაა

„კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები, დაცვის პროფესიული საიდუმლოება, შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ“.

რაც შეეხება დისციპლინარულ ზომებს, უნდა იქნას გამოყენებული კანონის მუხლები 32-35. მაგალითად, მუხლი 32.1 ადგენს, რომ „ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება: ა) ამ კანონის მუხლების 5-9 გათვალისწინებული მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის“. თუმცა, ამავე მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია, რომ „ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 წელი“. მუხლი 33 ადგენს, რომ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია პასუხისმგებელია დისციპლინურ დევნაზე. დისციპლინური ზომების სახეობანი ჩამოთვლილია მუხლში 34.1. 2. რაც მოიცავს:

- ა. გაფრთხილებას;
- ბ. საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევას 6 თვიდან 3 წლამდე ვადით;
- გ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტას.

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია:

- ა. კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა;
- ბ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. (კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მუხლი 34.1 - 2).

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის თანახმად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უნდა შექმნას ეთიკის კომისია, რომელიც განსაზღვრავს დარღვეულია თუ არა ეთიკის კოდექსი ან კანონი ადვოკატთა შესახებ, და დარღვევის შემთხვევაში, განუსაზღვროს შესაბამისი სასჯელი. ამჟამად ადვოკატთა ასოციაციის შექმნის საკითხის გათვალისწინებით, არ არსებობს მოქმედი დისციპლინური სისტემა და სამართლებრივი მექანიზმი. არცერთი ადვოკატის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული სანქცია ადვოკატთა შესახებ კანონის მოთხოვნათა ან სხვა პროფესიული ქცევის ნორმის დარღვევისათვის.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ამჟამად ზემოხსენებული მოთხოვნების ამოქმედების მცდელობა არ არის. მოსამართლეები და ადვოკატები სხვა პროფესიების წარმომადგენელთა ჩათვლით ელიან ეთიკის კოდექსის მიღებას ადვოკატის მიერ ქცევის ან ეთიკის ნორმის დარღვევაზე სათანადო რეაგირებისათვის. მოსამართლეები აცხადებენ, რომ ისინი თავს იკავებენ ადვოკატთა დასაჯისაგან, რადგან მათ არ სურთ ტენდენციურად განსაჯონ ერთის ან მეორეს სასარგებლოდ. ერთმა თუ ორმა მოსამართლემ განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ადვოკატების, არაეთიკური ქცევისათვის, სიტყვიერი გაფრთხილების

მცდელობა. მიუხედავად ამისა, არაცივილური საქციელი არ არის ფართოდ გავრცელებული, რადგან ადვოკატები და მოსამართლეები როგორც წესი ერთ წრეს მიეკუთვნებიან და იცნობენ ერთმანეთს. ადვოკატები აღნიშნავენ, რომ ამჟამად არ არსებობს საშუალება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მეორე ადვოკატის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა.

დაბოლოს, ამჟამად არცერთი კოდექსი არ მოიცავს მუხლებს რომელიც დასჯის ისეთ ქმედებას სადაც სასამართლოსადმი უპატივცემულობაა გამოვლენილი. მიუხედავად ამისა, აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი აპირებს შესაბამისი კანონების მიღებას შემდგომი სესიების განმავლობაში.

#### IV. იურიდიული მომსახურება

##### ფაქტორი 18. იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობა

*ქვეყნის სახვადასხვა რეგიონებში დასაქმებულია კვალიფიციურ იურისტთა საკმარისი რაოდენობა. ამდენად, ყველა ადამიანს შეუძლია დროული და ადეკვატური იურიდიული მომსახურების მიღება.*

დასკვნა:	შეფასება: უარყოფითი
ითვლება, რომ მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არსებობს იურისტთა საკმარისი რაოდენობა; თუმცა, სიღარიბის დონის გამო მოთხოვნა ასეთ მომსახურებაზე საკმაოდ დაბალია.	

##### ანალიზი/საფუძველი

ბოლოს ჩატარებული აღწერის შედეგებით, საქართველოს მოსახლეობა 4 667 401 ადამიანს შეადგენს. აქედან 1 440 000 თბილისში ცხოვრობს<sup>7</sup>. სტატისტიკური მონაცემები ადვოკატების საერთო რიცხვის შესახებ არ არსებობს. 2005 წლის თებერვალში, ადვოკატთა კანონის შესაბამისად, 1204 პირი იყო უფლებამოსილი გამხდარიყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ხოლო დაახლოებით 900-მა დადო ფიცი ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე. ამჟამად, ამ 900 ადამიანს 2006 წლის 1 ივნისიდან ეძლევა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება. ადვოკატთა ასოციაციის საბოლოო ჩამოყალიბებისა და დამატებითი გამოცდების ჩატარების შემდეგ, ეს რიცხვი გაიზრდება. მიუხედავად ამისა, 2006 წელს საქმიანობის უფლების გაცემა შეჩერებულია, რადგან ასოციაცია არ ფუნქციონირებს სრული დატვირთვით, ხოლო გაურკვეველია აქვს თუ არა

<sup>7</sup> საინფორმაციო აღმანახი, 2005 წლის 16 ივნისი, [www.infoplease.com](http://www.infoplease.com)

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს იურიდიული უფლება, ჩაატაროს ადვოკატთა შემდეგი გამოცდა.

იურისტთა საზოგადოება, შორეული რეგიონების გამოკლებით, ზოგადად არ განიცდის ადვოკატთა ნაკლებობას. თუმცა, მაინც არსებობს კვალიფიცირებული ადვოკატების დეფიციტი, თუ ამაში კომპეტენტური ადვოკატი, და არა განათლებით იურისტი იგულისხმება. გამოკითხული მოსამართლეების უმეტესობა აღნიშნავს, რომ ნებისმიერი რეგიონის მიხედვით, კვალიფიციურ ადვოკატთა რიცხვი რეგიონში არსებულ ადვოკატთა დაახლოებით ნახევარს შეადგენს. გამოკითხული ადვოკატები არ ჩივიან, რომ ზედმეტად დატვირთულნი არიან, თუმცა ბევრი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

სასამართლო რეფორმის ფარგლებში, 2005 წლის ივნისში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი თბილისის საერთო სასამართლოების გაერთიანების შესახებ. ხუთი სასამართლოს ნაცვლად ახლა მხოლოდ ერთი საერთო სასამართლოა. (პრეზიდენტის ბრძანებულება რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, ტერიტორიული იურისდიქციისა და მოსამართლეთა რაოდენობის შესახებ (გამოცემული 2005 წლის 12 აპრილი). დაგეგმილია დამატებითი კანონის მიღება, რომელიც შეამცირებს საერთო სასამართლოების საერთო რაოდენობას 74-დან 15-დე. ამ ღონისძიების ერთერთი შედეგი იქნება იურიდიული მომსახურების ხელმისაწვდომობის გართულება ქვეყნის ზოგ რეგიონში. ყველა მოსამართლე და ადვოკატი აღნიშნავს, რომ ამგვარი ღონისძიების გატარება ადვოკატებს და კლიენტებს პრობლემებს შეუქმნის, რაც გაზრდის კლიენტების ფინანსურ ტვირთს, რადგან მათ სასამართლოებში მგზავრობა მოუწევთ ამასთანავე თავისი, ადვოკატთა და ექსპერტთათვის მგზავრობის საფასურის ანაზღაურება.

#### **ფაქტორი 19. იურიდიული მომსახურება სოციალურად დაუცველთათვის**

*ადვოკატები მონაწილეობენ სპეციალურ პროგრამებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა პირისთვის, განსაკუთრებით კი, სოციალურად დაუცველთა და პატიმართათვის, სათანადო იურიდიული მომსახურების გაწევა და ხელმისაწვდომობა.*

დასკვნა:

შეფასება: უარყოფითი

დაბალი ანაზღაურების გამო, სახელმწიფო ადვოკატები (შემდგომში, ex officio) თავს იკავებენ უმწოეთა ინტერესების სასამართლოში დაცვისაგან, ამდენად, მრავალ სისხლის სამართლის საქმეში, ბრალდებულნი გამოდიან ადვოკატის გარეშე. სამოქალაქო საქმეებზე იურიდიული დახმარება არ არსებობს. შედეგად, ბევრ სამოქალაქო საქმეზე, მხარეები აგრეთვე დაცვის გარეშე გამოდიან. ამდენად, მრავალ პირს, კერძოდ კი, სოციალურად დაუცველს და პატიმარს, ჩამორთმეული აქვს იურიდიული მომსახურების უფლება.

### ანალიზი/საფუძველი

კონსტიტუცია უზრუნველყოფს სისხლის სამართლის დამნაშავეთა იურიდიული წარმომადგენლობის უფლებას. მაგალითად, მუხლი 18.5 ადგენს, რომ „დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს“. ამასთან, კონსტიტუციის მუხლი 42.3 ადგენს, რომ „დაცვის უფლება გარანტირებულია“.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ასახულია დაცვის გარანტირებული უფლება. მაგალითად, მუხლი 11.1-3 ადგენს:

„1. სასამართლო და თანამდებობის პირი, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესს ახორციელებენ, ვალდებული არიან ექვმიტანილი, ბრალდებული და განსასჯელი უზრუნველყონ დაცვის უფლებით, განუმარტონ უფლებები, მისცენ შესაძლებლობა, დაიცვან თავი კანონით ნებადართული ყველა საშუალებით, უზრუნველყონ მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

2 დაცვის უფლებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირი, რომლის მიმართაც წარმოებს სამედიცინო ხასიათის საქმე, იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად, აგრეთვე მსჯავრდებული და გამართლებული განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში.

3. სისხლის სამართლის საქმეში დამცველის ან კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არ ართმევს დასაცავ პირს მის კუთვნილ უფლებებს“.

თუ ბრალდებულს არ აქვს ადვოკატის დაქირავების საშუალება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფო ადვოკატის აყვანას. მაგალითად, მუხლი 80.1-4 ადგენს:

„1. ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია ექვმიტანილს, ბრალდებულსა და განსასჯელს მათი თანხმობით, სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნოს დამცველი-ადვოკატი, თუ ისინი არასმქონენი არიან, რაც დადასტურდება ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის დოკუმენტით. გადახდისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის

შეუძლებლობის შემთხვევაში, ექვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელისათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო.

2. დაცვა, დანიშვნით, ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ანაზღაურების ოდენობა არ შეიძლება იყოს დადგენილ განაკვეთზე ნაკლები.

3. დაცვა დანიშვნით გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ექვმიტანილს ან ბრალდებულს არ მოუწვევია დამცველი შეთანხმებით.

4. სახელმწიფო ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, აგრეთვე ადვოკატთა კოლეგიასა და ადვოკატთა სხვა გაერთიანებებს უფლება აქვთ ექვმიტანილი და ბრალდებული გაათავისუფლონ დაცვის საფასურისაგან იმ შემთხვევაშიც, რომელიც ამ მუხლში არ არის აღნიშნული. პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ დამცველის საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლების შემთხვევაში, სახელმწიფო კისრულობს მისი შრომის ანაზღაურების მთელ ხარჯებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აგრეთვე უზრუნველყოფს იურისკონსულტის აყვანას კონკრეტული საქმეებისთვის, რაც მუხლში 81.ა-ზ. ჩამოთვლილია, ეს მოიცავს საქმეებს, სადაც ბრალდებული არასრულწლოვანია, გააჩნია ფსიქიური და ფიზიკური ნაკლი, რომელიც აბრკოლებს ბრალდებულის შესაძლებლობას, დაეხმაროს დაცვას, არ ფლობს სახელმწიფო ენას ან ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონი სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს.

„1. ორგანოს, რომელიც პროცესს აწარმოებს, უფლება არა აქვს მიიღოს ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, ხოლო თუ პირს ენიშნება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება - ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის უარი დამცველის დანიშვნაზე, თუ

- ა) ექვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი არასრულწლოვანია;
- ბ) ექვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც აძნელებს დაცვის უფლების განხორციელებას;
- გ) ექვმიტანილმა, ბრალდებულმა ან განსასჯელმა არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;
- დ) ექვმიტანილს, ბრალდებულს ან განსასჯელს ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც შეიძლება სასჯელად დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა;
- ე) პირი გაიგზავნა სტაციონარულ სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე;
- ვ) ექვმიტანილთა, ბრალდებულთა ან განსასჯელთა ინტერესებს შორის არის წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი;
- ზ) დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი.“

სოციალურად დაუცველი პირის დაცვისთვის სახელმწიფო სახაზინო ადვოკატს დღეში 2 ლარს უხდის, რაც, დაახლოებით 1.2 აშშ დოლარის ექვივალენტია, რაც არაადეკვატური ანაზღაურებაა. მეტიც, ადვოკატები აცხადებენ, რომ ხშირ შემთხვევაში, მათ არ მიუღიათ ანაზღაურება გაწეული მომსახურებისთვის. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფიცის დადების ცერემონიამდე, ადვოკატთა კოლეგია მუდმივად უზრუნველყოფდა სოციალურად დაუცველთა

დახმარებას. ამჟამად, სისხლის სამართლის საქმეზე სოციალურად დაუცველი ბრალდებულნი, როგორც წესი, სასამართლოს წინაშე ადვოკატის გარეშე წარსდგებიან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადვოკატი თანხმდება ბრალდებულის დაცვაზე მოვალეობის გრძნობის გამო. (მოსამართლეები კვლავაც სთხოვენ ადვოკატთა კოლეგიას სოციალურად დაუცველთა ინტერესების წარმოდგენას, რადგან არ იციან სხვა რომელ ორგანოს მიმართონ).

2005 წლის ივნისში, იუსტიციის სამინისტრომ, ღია საზოგადოება-საქართველოსა IRIS-ის და USAID-ის დაფინანსებით, დაიწყო ერთწლიანი პილოტური პროგრამა, რომელიც იურიდიული დახმარების გაწევას ითვალისწინებს. სოციალურად დაუცველთა ინტერესების დასაცავად მოხდება ადვოკატების აყვანა, ხოლო მათი ყოველთვიური ანაზღაურება 300-500 ლარს (200-300 აშშ დოლარს) შეადგენს; რეგიონებში დასაქმებულ ადვოკატთა ანაზღაურება უფრო დაბალი იქნება. აღნიშნული თანხები ადეკვატურია ახალგაზრდა ადვოკატების მოზიდვისთვის. მაგალითად, კონკურსში თითო ადგილზე 15 კანდიდატი მოდიოდა; გამოცხადებული იყო 10 ვაკანტური თანამდებობა. დაქირავებული ადვოკატები იმუშავენ თბილისსა და ახლომდებარე რეგიონში. ამჟამად უცნობია, იქნება თუ არა გამოყოფილი დაფინანსება ერთწლიანი პროგრამის დასრულების შემდეგ.

ამჟამად, სიღარიბის მაღალი დონისა და გადახდისუუნარობის გამო მოთხოვნა იურიდიულ მომსახურებაზე არ არის დაკმაყოფილებული. ამდენად, რთულია განისაზღვროს არსებობს თუ არა ადვოკატთა საჭირო რაოდენობა მოსახლეობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ხელშეკრულებები, საოჯახო დავები და კონფლიქტების გადაჭრა. მოსამართლეები აღნიშნავენ, რომ, როგორც წესი, ადამიანები ამ საკითხებს აგვარებენ იურისტის დახმარების გარეშე და თავად იცავენ საკუთარ ინტერესების სასამართლოში.

სამოქალაქო საკითხებზე იურიდიული დახმარების მოცულობა ძალიან მწირია. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, როგორცაა, მაგალითად, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით, უზრუნველყოფენ იურიდიული კონსულტაციების გაწევას მოსახლეობის ღარიბი ფენებისთვის. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ზოგი რეგიონული ოფისი ატარებს უფასო იურიდიულ კონსულტაციებს და წარმოადგენს სოციალურად დაუცველ პირებს სასამართლოში. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრმა, ABA/CEELI-ს ფინანსური მხარდაჭერით, დააფუძნა ქალთა უფლებათა დაცვის ცენტრი. პროექტი გულისხმობს, რომ ცენტრის იურისტებმა წარმოადგინონ ქალთა ინტერესები ოჯახური ძალადობის, საოჯახო ურთიერთობებისა და შრომის საკითხებში. უცნობია, შეძლებენ თუ არა ეს ორგანიზაციები ასეთი მომსახურების გაწევას დონორთა დახმარების გარეშე.

## **ფაქტორი 20. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი**

*ადვოკატები აცნობებენ თავის კლიენტებს მედიატორული, საარბიტრაჟო და დავების გადაჭრის მსგავსი ალტერნატიული ხერხების შესახებ.*

დასკვნა:

შეფასება: დადებითი

არბიტრაჟი კერძო სასამართლოში დავების გადაჭრის მნიშვნელოვანი ალტერნატივაა. ადვოკატები აცნობებენ კლიენტებს ასეთი ხერხების არსებობის შესახებ და ხშირ შემთხვევაში უწევენ მათ რეკომენდაციას. ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება სავალდებულოა. ხშირად, საქმის დროში გაგრძელების და ჰონორარის გამო ადვოკატები მედიატორული ხერხის წინააღმდეგი არიან.

### **ანალიზი/საფუძველი**

ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 4.1.ა შესაბამისად, „ადვოკატს უფლება აქვს წარმოადგინოს და დაიცვას კლიენტი, მისი უფლებები და თავისუფლებები საკონსტიტუციო, უზენაეს და საერთო სასამართლოებში, არბიტრაჟში, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პუნქტი არ ავალდებულებს ადვოკატებს, აცნობონ კლიენტს არბიტრაჟის შესახებ, თვით ის ფაქტი, რომ არბიტრაჟი ნახსენებია ტექსტში, მიუთითებს არბიტრაჟის გამოყენებზე შესაბამისი დავების გადასაწყვეტად.

არბიტრაჟის მოხსენიება და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული მექანიზმები (შემდგომში ADR) მოყვანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და კანონში კერძო არბიტრაჟის შესახებ. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლში 12 ნათქვამია, რომ სანივთო უფლების საკითხთა გადაწყვეტა „მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია არბიტრაჟში“. ამასთან კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ შეიცავს არბიტრაჟის ყველა ასპექტს, ადგენს, რომ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა მხარისთვის და მისი სასამართლოში გასაჩივრება შეუძლებელია.

მხარეებს შეუძლიათ, ჩართონ კერძო კონტრაქტებში მუხლი არბიტრაჟის შესახებ. ნებისმიერი პირი შეიძლება დაინიშნოს არბიტრად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანდიდატს არ შეუძლია ამ ფუნქციის შესრულება, ჩადენილი აქვს განზრახ დანაშაული ან არის ნათესაურ კავშირში რომელიმე მხარესთან. კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ, მუხლი 8. როგორც წესი, არბიტრთა უმრავლესობა ადვოკატები ან ყოფილი მოსამართლეები არიან. თბილისში რამდენიმე ადვოკატია, რომლებიც საკმაოდ აქტიურ საარბიტრაჟო პრაქტიკას ეწევიან.

ადვოკატები აცხადებენ, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში რეკომენდაციას უწევენ საქმის არბიტრაჟში განხილვას, რადგან საარბიტრაჟო განხილვა უფრო მოკლე ვადაში ხდება. თუმცა, გამოკითხულები აგრეთვე აცხადებენ, რომ არბიტრაჟი არ არის ცნობილი და პოპულარული, რადგან კლიენტებს არ სურთ სასამართლოში გასაჩივრების უფლების დათმობა.

შუამავლობა საქართველოში არ არსებობს. მოსამართლეები აცხადებენ, რომ ისინი მუდმივად აცნობებენ მხარეებს, დავის მოგვარების ალტერნატიული ხერხის

შესახებ და არაფორმულად ცდილობენ მედიატორის როლის შესრულებას, რითაც ხელს უწყობენ დავის მოგვარებას. ისინი აგრეთვე ამბობენ, რომ ხშირ შემთხვევაში ადვოკატები შუამავლობის მეშვეობით დავის მოგვარებას ეწინააღმდეგებიან, რაც ფინანსური მოტივითაა განპირობებული. ეთიკის კოდექსის პროექტი შეიცავს მოთხოვნას, რომლის თანახმადაც ადვოკატი ყოველთვის უნდა ცდილობდეს დავის გადაწყვეტას, რაც, ADR-ის უფრო აქტიურ გამოყენებას გულისხმობს. (ეთიკის კოდექსის პროექტი, მუხლი 8.2)

## V. პროფესიული გაერთიანებები

### ფაქტორი 21: ორგანიზაციული მართვა და დამოუკიდებლობა

*იურისტთა პროფესიული ასოციაციები წარმოადგენენ თვითმმართველობით, დემოკრატიულ და სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ ორგანიზაციებს.*

დასკვნა:	შეფასება: ნეიტრალური
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შექმნის შემდეგ, ადვოკატთა კანონის შესაბამისად, ის იქნება დემოკრატიული, დამოუკიდებელი და თვითმმართველობის ორგანო. ამჟამად, კოლეგია და ახალაგზრდა იურისტთა ასოციაცია, როგორც იურისტთა პროფესიული გაერთიანებები, დამოუკიდებლად და წარმატებულად ფუნქციონირებენ.	

### ანალიზი/საფუძველი:

კონსტიტუცია უზრუნველყოფს გაერთიანების უფლებას. კონსტიტუციის მუხლი 26.1 ადგენს, რომ „ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება“. კანონი ადვოკატთა შესახებ აგრეთვე ცნობს ადვოკატთა დამოუკიდებლობას და ადგენს, რომ „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“. (მუხლი 1.2). ამასთან, მუხლი 20.1 ადგენს, რომ „ადვოკატთა ასოციაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი“. მუხლი 20.2 ადგენს, რომ „ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით“.

ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 23.1-3 ადგენს ასოციაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას. ამასთან, მუხლებში 24-31 დეტალურად აღწერილია თავმჯდომარისა და კომიტეტის წევრთა ვალდებულებები, საქმიანობა და ფუნქციები. მეტიც, კანონი ავალდებულებს ასოციაციას შეიმუშაოს თავისი წესდება, რომელიც მისი ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება. წესდებით განისაზღვრება საწევრო გადასახადის გადახდა (წესდება, მუხლი 8.2.ბ)

ასოციაციის თავმჯდომარე და კომიტეტის წევრების არჩევის პროცესი გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდა დამფუძნებელ კრებაზე, სადაც აგრეთვე ასოციაციის წესდება დამტკიცდა. თუმცა, საეჭვოა, პროცედურების კანონიერება. მაგალითად, ორი სარჩელი იქნა შეტანილი სასამართლოში: ერთი - საერთო სასამართლოში ასოციაციის შექმნის კანონიერებასთან დაკავშირებით (დამფუძნებელ კრებაზე კვორუმის არარსებობის გამო. მაშინ მიღებული იქნა წესდება, ხოლო კომიტეტის წევრთა არჩევისას, ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმათა უმრავლესობა, რაც ადვოკატთა შესახებ კანონის მოთხოვნას). მეორე სარჩელი შევიდა საკონსტიტუციო სასამართლოში, და შეეხება ადვოკატთა შესახებ კანონის მოთხოვნას, შეიქმნას ადვოკატთა ერთიანი ასოციაცია. თუმცა, ორ ძირითად მხარეს შორის მიღწეულია შეთანხმება, რაც ხელს შეუწყობს ასოციაციის არსებობას. თუ მოხდება შეთანხმების დახვეწა, საერთო სასამართლოში აღძრული საქმე გაუქმდება და დაინიშნება ახალი დამფუძნებელი კრება, რომელზეც მოხდება ასოციაციის წესდების ხელახალი მიღება და კომიტეტის წევრთა არჩევა.

როგორც უკვე ვისაუბრეთ ნაწილში „იურდიულ პროფესიათა ორგანიზაციები“, არსებობს იურისტთა ორი მსხვილი, დამოუკიდებელი, თვითმმართველობითი, დემოკრატიული ასოციაცია: ადვოკატთა კოლეგია და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. რესპონდენტები თვლიან, რომ ადვოკატთა ასოციაციის სრულად ჩამოყალიბებისა და ამოქმედების შემდეგ, კოლეგიის წევრთა რაოდენობა შემცირდება. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას არ გამოუთქვამს მსგავსი მოსაზრება, ამდენად, მოსალოდნელია, რომ ის განაგრძობს აქტიურად მოღვაწეობას და შეინარჩუნებს გავლენას.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებები ადვოკატთა ასოციაციების რაოდენობასთან დაკავშირებით, ყველა თანხმდება მასზედ, რომ ასოციაციათა რაოდენობის მიუხედავად, ისინი უნდა იყვნენ სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი. რესპონდენტები იმეორებდნენ, რომ მთავრობა არ უნდა იყოს ჩართული ადვოკატთა დისციპლინური საკითხების გადაჭრაში და არ უნდა ახორციელებდეს ზეწოლას ასოციაციის ხელმძღვანელობასა თუ წევრებზე.

## **ფაქტორი 22. მომსახურების გაწევა**

*იურისტთა პროფესიული ასოციაციები აქტიურად იცავენ პროფესიის ინტერესებსა და დამოუკიდებლობას, ადგენენ პროფესიულ სტანდარტებს და ატარავენ საგანამანათლებლო და სხვა საქმიანობას თავისი წევრთათვის.*

დასკვნა:

შეფასება: ნეიტრალური

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია იბრძვის არსებობისთვის და ამჟამად ვერ ახერხებს იურიდიული პროფესიის ინტერესების, დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის დაცვას. მისი ჩამოყალიბების შემდეგ, წესდების თანახმად, ის იმუშავებს იურიდიული პროფესიის ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საკითხებზე და შეიმუშავებს პროფესიულ სტანდარტებს. ამჟამად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წარმოადგენს იურისტთა ყველაზე ძლიერ და ცნობილ ორგანიზაციას.

### **ანალიზი/საფუძველი:**

ადვოკატთა შესახებ კანონის შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია წარმოადგენს სპეციალურად შექმნილ ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიის ინტერესებისა და დამოუკიდებლობის დაცვაზე, სტანდარტების შემუშავებასა და ადვოკატთა მართვაზე, მათი ინტერესების დაცვაზე და წევრთათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნაზე. რაც შეეხება პროფესიულ ზრდას, კანონის მუხლი 23.3 ადგენს, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან იქმნება ადვოკატთა სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიულ გადამზადებას. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით“. ამასთან, მუხლი 24 ადგენს საერთო კრების სხვადასხვა ფუნქციას. კერძოდ, მუხლში 24.2 ნათქვამია:

„2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება:

ა) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და მისი სტრუქტურული დანაყოფების დებულებებს, შეაქვს მათში ცვლილებები და დამატებები;

ბ) ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს;

გ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ადვოკატთა ტესტირების ჩატარების თარიღს, წესს, პროგრამას და საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას;

დ) ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს;

ე) ამტკიცებს დებულებას „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“;

ვ) ამტკიცებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესს;

ზ) ამტკიცებს ასოციაციის მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვას;

თ) ისმენს ასოციაციის, ეთიკისა და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ი) აწესებს ფიქსირებულ საწევრო გადასახადს და ადგენს მისი გადახდის ვადას;

კ) გამოყოფს სახსრებს ასოციაციის საერთო პრობლემებისათვის გაწეული ხარჯების დასაფარავად;

ლ) ადგენს დაქირავებულ პირთა ხელფასების, სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობას;

მ) ახორციელებს ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს“.

კანონი ადვოკატთა შესახებ აგრეთვე განსაზღვრავს აღმასრულებელი საბჭოს უფლებამოსილებებს. მაგალითად, მუხლი 26.4.ა-ლ ადგენს:

„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია:

ა) არსებული მონაცემების საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით ორგანიზაცია გაუწიოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა სიის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას;

ბ) კოორდინაცია გაუწიოს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე; განსაზღვროს ტესტირების ჩატარების თარიღი, ორგანიზაციულად უზრუნველყოს ტესტირების მომზადება და ჩატარება;

გ) ორგანიზება გაუწიოს ადვოკატთა მიერ ფიცის დადებას (განცხადების დაწერას);

დ) აღასრულოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებები;

დ<sup>1</sup>) დაამტკიცოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობა;

ე) დაამტკიცოს ადვოკატთა ორდერის ნიმუში;

ვ) დაამტკიცოს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ნიმუში;

ზ) დაამყაროს საერთაშორისო კავშირები, ამ ურთიერთობებში იყოს ასოციაციის წარმომადგენელი;

თ) აწარმოოს ადვოკატთა და მათ სტაჟიორთა პირადი საქმეები;

ი) ორმხრივი თხოვნის საფუძველზე იყოს ასოციაციის მოდავე წევრების ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი;

კ) გამოსცეს ადვოკატთა საინფორმაციო ბიულეტენი ან სხვა პერიოდული ორგანო;

ლ) განახორციელოს ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი“.

ადვოკატთა შესახებ კანონის მუხლი 20.2 ადგენს, რომ ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს განსაზღვრავს ასოციაციის წესდება. წესდება ადგენს შემდეგ მიზნებს: პროფესიული უნარჩვევებისა და კვალიფიკაციის განვითარება (წესდება, მუხლი 3.ე. აგრეთვე, ის განსაზღვრავს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის შექმნას, სემინარების, დისკუსიებისა და „მრგვალი მაგიდების“ გამართვას, ჟურნალის გამოცემასა და ეთიკის კოდექსის შემუშავებას. სხვა პროფესიულ ასოციაციებს კანონით არ აქვთ მინიჭებული პროფესიის განვითარების უფლება.

ამჟამად, ადვოკატთა უმრავლესობა დაინტერესებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობით. ასოციაციის თავმჯდომარე ადვოკატთა ჯუფისა და ABA/CEELI-სა და ევროკავშირის დახმარებით, მუშაობს ეთიკის კოდექსის შედგენაზე. მიმდინარეობს მსჯელობა იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობისა და ნებისმიერი პროფესიული გაერთიანების ირგვლივ, ადვოკატთა უფლებამოსილებებზე, პროფესიის დახვეწაზე, ეთიკაზე და ეთიკური ნორმების დარღვევის აღკვეთაზე.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდებაში ერთერთ მიზნად ადგენს „პროფესიული უნარჩვევების, კვალიფიკაციებისა და ეთიკის განვითარებას“. (წესდება, მუხლი 2.1). კანონში შეტანილი ცვლილებების გასაცნობად ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ატარებს სემინარებს.

### **ფაქტორი 23. საჯარო ინტერესი და ინფორმირების პროგრამები**

*იურისტთა პროფესიული ასოციაციები მხარს უჭერენ პროგრამებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება საზოგადოების განათლება და ინფორმირება კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და იურისტის (ადვოკატის) როლზე საზოგადოების ასეთი უფლებების დაცვაში.*

დასკვნა:	შეფასება: ნეიტრალური
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თავისუფლების ინსტიტუტი, კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი, მუხლი 42 გამოსცემენ სხვადასხვა პუბლიკაციებს უფლებების საკითხებზე, რაც ეხმარება საზოგადოებას საკუთარი უფლებების გაცნობაში. ამასთან, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მუხლი 42 და კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი დახმარებას უწევენ საზოგადოებას ამ უფლებების დაცვაში, თუმცა ეს სამუშაო პირველ რიგში დამოკიდებულია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებაზე, როგორცაა მაგალითად ABA/CEELI.	

### **ანალიზი და საფუძველი:**

კანონი ადვოკატთა შესახებ არ ავალდებულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჯარო სამართლებრივი პროგრამების განხორციელებას. მსგავსი მთხოვნა არც ასოციაციის წესდებაშიც არის ჩადებული. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ადგენს საზოგადოების სამართლებრივი საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარების ვალდებულებას, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდება შეიცავს მოთხოვნას კანონის უზენაესობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების, კანონების მიღების მნიშვნელობაზე, რაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს, და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის შესახებ. - წესდება, მუხლი 2.1. მიზნების მისაღწევად ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია რეგიონებში ატარებს პრაქტიკული სამართლის პროგრამებს. ამასთან, ABA/CEELI საქართველოს იურისტ-სტუდენტთა ასოციაციასთან ერთად, ახორციელებს პრაქტიკული

სამართლის პროგრამის განხორციელებას თბილისში. ამ პროგრამით, ადვოკატები და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები საშუალო სკოლის მოსწავლეთ ასწავლიან და აწვდიან ინფორმაციას კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო უფლებების შესახებ.

ამასთან, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი, მუხლი 42 და თავისუფლების ინსტიტუტი დონორთა დახმარებით აქვეყნებენ სხვადასხვა პუბლიკაციებს სამოქალაქო უფლებების თემატიკაზე. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „მუხლი 42“ და კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ ბრალდებულთა ინტერესებს სასამართლოში და ატარებენ საადვოკატო მომსახურებას სამთავრობო სტრუქტურებიდან დათხოვნილი პირებისათვის. აგრეთვე, ისინი საუბრობენ იმის შესახებ, რომ მთავრობა ვერ ახერხებს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვას. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განსაკუთრებით აქტიურია და ხშირად საუბრობს მთავრობის მიერ კონსტიტუციის დარღვევის შესახებ. გამოკითხულთა პასუხები ცხადყოფს, რომ მეტი დაფინანსების პირობებში, არასამთავრობოთა საქმიანობა ამ სფეროში გაიზრდებოდა.

გაეროს პრინციპთა მეოთხე პრინციპი ადგენს, რომ „მთავრობებმა და იურისტთა პროფესიულმა გაერთიანებებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ პროგრამები საზოგადოების ინფორმირების მიზნით მათი კანონიერი უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობის მიზნით და ადვოკატთა მნიშვნელოვან როლზე, როგორც მათი უფლებების დამცველებზე“. ამდენად, თუ ადვოკატთა ასოციაცია გაიზიარებდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ამ ინიციატივას და წამოიწყებდა საქმიანობას ამ სფეროში, ეს ხელს შეუწყობდა სამოქალაქო თავისუფლებების განმტკიცებას და ადვოკატთა ასოციაციის რეპუტაციის, მნიშვნელობისა, და, ალბათ, ეკონომიკური სტატუსის ზრდას.

#### **ფაქტორი 24. როლი სამართლებრივ რეფორმაში**

*იურისტთა პროფესიული ასოციაციები აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნის სამართლებრივი რეფორმის პროცესში.*

დასკვნა:	შეფასება: ნეიტრალური
მრავალი იურისტი ჩართულია ქვეყნის სამართლებრივი რეფორმის პროცესში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჩამოყალიბების საშუალებით. ამასთან, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ადამიანის უფლებების დაცვის, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მხარდაჭერის და მთავრობაში კორუფციის აღმოფხვრის ხელშეწყობის საშუალებით, აგრეთვე მონაწილეობს ქვეყნის სამართლებრივი რეფორმის განხორციელებაში.	

## ანალიზი/საფუძველი

ადვოკატთა ასოციაციის წესდებით, ასოციაცია მონაწილეობს კანონ-პროექტების შემუშავებაში. - წესდება, მუხლი 4.1.ზ. სამწუხაროდ, შეფასების გაკეთების დღიდან, ადვოკატთა ასოციაცია არ არსებობს, და, ამდენად, შეუძლებელია მისი სამართლებრივ რეფორმაში მონაწილეობა. შეფასების შედგენის პერიოდში ადვოკატთა ასოციაციის წევრები მუშაობდნენ ადვოკატთა კანონში შესატან ცვლილებებზე ასოციაციის წესდების მიღებისა და ხელმძღვანელობის არჩევის ხელშეწყობის მიზნით. ცვლილებების მისაღებად, ასოციაციის წევრთა ჯგუფი ითანამშრომლებს პარლამენტთან. წინათ, ცალკეულმა ადვოკატებმა დიდი როლი შეასრულეს ადვოკატთა შესახებ კანონის შემუშავებისა და მიღების პროცესში.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მონაწილეობს ქვეყნის სამართლებრივი რეფორმის პროცესში ადამიანის უფლებების, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფციის აღმოფხვრის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების საშუალებით. მის წესდებაში ნათქვამია: „წევრებმა უნდა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი სამართლებრივი რეფორმის განხორციელებაში, გაუწიონ ლობირება საქართველოს კანონმდებლობის ადამიანის უფლებების სფეროში საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა დაცვას და ითანამშრომლონ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პროფესიული გაერთიანებების ჩათვლით“.

- წესდება, მუხლი 3. ასოციაცია აქტიურად მუშაობს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის საკითხებზე და გამოდის სახელმწიფო სასამართლო საქმიანობაში ჩარევის წინააღმდეგ. აგრეთვე, ის აქტიურად თანამშრომლობს მთავრობასთან ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავებაზე.

იურისტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სამთავრობო საკანონმდებლო სამუშაო ჯგუფებში; ისინი ხშირად ხვდებიან პარლამენტის სამართლებრივ საკითხთა კომიტეტს ადვოკატთა ასოციაციის და სხვა სამართლებრივი რეფორმის საკითხთა განსახილველად. სამართლებრივ საკითხთა კომიტეტი ხშირად ითხოვს ადვოკატთა დახმარებას კანონ-პროექტებისა და არსებულ კანონებში ცვლილებების პარლამენტის პლენარულ სესიაზე წარდგენამდე - ისე, როგორც ეს მოხდა ადვოკატთა შესახებ კანონის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, რესპონდენტები არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათ შეეძლოთ რაიმე ზეგავლენის მოხდენა მთავრობაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით და სისხლის სამართლის სხვა კანონებზე, თუ შევადარებთ მათ ზეგავლენას პროკურატურის ზეგავლენას.

უცნობია რა ზეგავლენას იქონიებენ მთავრობაზე პროფესიონალი-იურისტები სასამართლოთა დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით. ამდენად, პროფესიული გაერთიანებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობა უზრუნველყოს მთავრობის სასამართლო სისტემაში ჩაურევლობა ჯერჯერობით შეუმჩნეველი დარჩა.

**შემოკლებების სია:**

ABA/CEELI	ამერიკის იურისტთა ასოციაცია/ც. ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა
ADR	დავების მოგვარების ალტერნატიული მექანიზმი
CCBE	ევროპის ადვოკატთა ასოციაციების საბჭო და იურიდიული საზოგადოებები
CEDAW	გაეროს კონვენცია ქალთა ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.
LPRI	იურიდიული პროფესიის რეფორმის ინდექსი
JRI	სასამართლო რეფორმის ინდექსი